# პიონერი

12
1970

140
1970/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა



50

# საბჭოთა აფხაზეთი

თვალუწვდენელი, ლურჯად მოლივლივე ზღვა; ტროპიკული მწვანით მოსილი სანაპიროები, თეთრად მოქათქათე სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები; ჩაის, თამბაქოს, ციტრუსების პლანტაციები; საუკუნოვანი ტყით დაფარული, კავკასიონის ყინულეთს მიბჯენილი მთები — ასეთია აფხაზეთი — აფსნი, ანუ „სულთა საუფლო“ ქვეყანა...

რევოლუციამდელი აფხაზეთი. რუსეთის ერთ-ერთი კოლონია. ეკონომიურად ჩამორჩენილი, სიდუხჭირისა და სიღარიბის განსახიერება. არავითარი მრეწველობა. კავისა და სახნისის ამარა მყოფი სოფელი. არც სწავლა, არც განათლება; სკოლისა და სამკითხველოს, საავადმყოფოს გარეშე დარჩენილი კუთხე.



მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ მისცა აფხაზეთს ნორმალური ეკონომიური და კულტურული განვითარების საშუალება.

განუზომლად ამაღლდა მრეწველობის დონე. უზარმაზარი ნაბიჯებით წავიდა წინ სოფლის მეურნეობა. არნახული მასშტაბით გაშალა ფრთები საკურორტო მშენებლობამ... ყოველივე ამან, ორმოცდაათი წლის მანძილზე ძირფესვიანად გარდაქმნა, აამაღლა აფხაზეთის მშრომელთა კულტურულ-ეკონომიური დონე.

სახალხო მეურნეობის მკვეთრმა ზრდამ, თავის მხრივ, განაპირობა მოსახლეობის ინტენსიური ზრდა. დღეს აფხაზეთში 1926 წელთან შედარებით მოსახლეობა ორჯერ მეტადაა გაზრდილი. 1887 წელს აფხაზეთში ერთადერთი ქალაქი იყო — სოხუმი, ისიც, სულ რაღაც, რვა ათასი მცხოვრებით. 1966 წელს აფხაზეთის ქალაქებში უკვე 190 ათასი ადამიანი ცხოვრობდა. ქვანახშირისა და ენერგეტიკული მრეწველობის ბაზებზე გაჩნდა ახალი ქალაქი — ტყვარჩელი. მსხვილ სატრანსპორტო ცენტრად იქცა ოდესღაც ზღვისპირა პატარა სოფელი — ოჩამჩირე. მთელი ჩვენი ქვეყნის მშვენებაა დიდად განთქმული კურორტები: გაგრა, ბიჭვინთა, გუდაუთა, ახალი ათონი.

**თანამედროვე აფხაზეთი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკურორტო კერაა.**

ჩაის პლანტაციები აქ პირველად 1931 წელს გააშენეს... ახლა ჩაის კულტურას 13 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს. ჩაის პლანტაციებში ფართოდ იყენებენ ახალ აგროტექნიკას. ხშირად შეხვდებით ოჩოკოჩებივით მაღალ ბორბლებზე შემდგარ მანქანებს — ჩაის სასხლავ და ჩაის საკრეფ შესანიშნავი კონსტრუქციის მანქანებს. ოჩიგვარის, გალის, მოქვის, გუდაუთას სპეციალიზებული მეურნეობები, კოლმეურნეობებთან ერთად, ქვეყანას აწვდიან მაღალხარისხოვან ჩაის.

ციტრუსები რევოლუციამდე თითო-ოროლა კერძომესაკუთრეს თუ ჰქონდა გაშენებული. დღეს

ტყვარჩელელ მეშახტეთა საცხოვრებელი უბანი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ულამაზესი კურორტი ბიჭვინთა მთელი ჩვენი ქვეყნის სიამაყეა.

ციტრუსები აფხაზეთის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლის პლანტაციებს ჯერ კიდევ პირველ ხუთწლედში ჩაეყარა საფუძველი. 1949-50 წლის უჩვეულოდ ცივმა ზამთარმა დიდი ზიანი მიაყენა საციტრუსო მეურნეობას. სტიქიამ არც შემდეგ დაინდო ეს კუთხე. ყინვები არნახული თანმიმდევრობით განმეორდა 1952, 1955, 1957 წლებში. მაგრამ ციტრუსების გაშენება, ცხადია, არ შეწყვეტილა. ახლა კვლავ დიდ ფართობზეა გადაჭიმული მანდარინისა და ლიმონის პლანტაციები. გათვალისწინებული იქნა დაშვებული შეცდომები და ახლა ციტრუსები ძირითადად იმ რაიონებში შენდება, სადაც ყინვა ნაკლებად არის მოსალოდნელი (კერძოდ, გუდაუთასა და გალის რაიონებში).

აფხაზეთი ოდითგან განთქმულია მებაღეობით და მევენახეობით. შავი ზღვის სანაპიროებზე თუ მთისპირა რაიონებში თვალს ახარებს ხეხილის დიდებული ბაღები. ვაშლის, მსხლის, ქლიავის, ატმის ბაღებს შესანიშნავად ერწყმიან ისეთი იშვიათი სუბტროპიკები, როგორიცაა: ფეიხოა, მუშმულა, იაპონური ხურმა. საამო სანახავია ნაყოფით დახუნძლულ ხეებზე სუროსავით ასული მაღლარი ვაზი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

პიონერი

12 · დეკემბერი · 1970

გამოცემის 44-ე წელი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ქარვისფრად მოქათქათე, დაცვარული მტევნები. აფხაზეთში კარგად ხარობს და დიდ მოსავალს იძლევა ქართული ჯიშის ვაზი: ცოლიკაური, ხიხვი, რქაწითელი, ციცქა, ჩხავერი.

მსოფლიო სახელი აქვს აფხაზეთის თამბაქოს, განსაკუთრებით არომატულ ჯიშებს — სამსუნსა და ტრაპზუნს. საქართველოს თამბაქოს მთელი პროდუქციის ნახევარი აფხაზეთზე მოდის. თამბაქოს პლანტაციები აფხაზეთში ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოციან წლებში გაჩნდა. პირველმა მსოფლიო ომმა და მენშევიკების ბატონობის წლებმა მეთამბაქოეობა დაღუპვის კარამდე მიიყვანა. რევოლუციის შემდეგ სოფლის მეურნეობის ამ დარგს დიდი ყურადღება მიექცა. იგი სწრაფად განვითარდა და განუხრელად წავიდა წინ.

თითქმის მთელ სანაპიროზე შესანიშნავად ხარობს უძვირფასესი ეთერზეთოვანი მცენარეები: ტუნგო, ბამბუკი, კეთილშობილი დაფნა.

პირველი ჩაის ფაბრიკა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების წლებში აშენდა გაგრაში. შემდეგ ერთმანეთის მიყოლებით ამუშავდნენ: აჩიგვარის, ნაბაკევის, მოქვის, ოქუმის, ოჩამჩირის ჩაის ფაბრიკები. რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალოთ.

სოხუმის თამბაქოს ფაბრიკა, რომელიც წინათ კერძო მეწარმის ხელში იყო, რეკონსტრუირებულია, ახალი დანადგარებითაა აღჭურვილი და დღეს 2,5 მილიარდზე მეტ ცალ პაპიროსს უშვებს.

ქვანახშირის საბადო აფხაზეთში გასული საუკუნის 50-იან წლებში იქნა აღმოჩენილი — მდინარე ღალიძგას აუზში. მაგრამ მისი ინტენსიური ექსპლოატაცია ფაქტიურად პირველ ხუთწლედებიდან დაიწყო. 1935 წელს ტყვარჩელში ამუშავდა პირველი მაღარო. ტყვარჩელი მალე გაიზარდა, განსაკუთრებით ინტენსიური იყო ეს ზრდა ომის პერიოდში. ახლა აქ უკვე 6 მაღარო მუშაობს, რომელიც უახლესი სამთამადნო ტექნიკით არის აღჭურვილი. ტყვარჩელზე მოდის საქართველოს ქვანახშირის 45 პროცენტი. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ტყვარჩელის ქვანახშირს რუსთავის მეტალურგიისათვის. შენდება და იზრდება ქალაქი ტყვარჩელი. მოსახლეობის ზრდის ტემპის მიხედვით იგი ერთ-ერთი პირველია საქართველოში.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს აფხაზეთის კულტურულ და სამეურნეო განვითარებისათვის მის დედაქალაქს — სოხუმს. მოხერხებულმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ, თბილმა, ნესტიანმა კლიმატმა, ნაყოფიერმა ნიადაგმა, უხსოვარ დროიდან მიიპყრო უცხოელთა ყურადღება. ჯერ კიდევ 2500 წლის წინათ, დღევანდელი სოხუმის ტერიტორიაზე დაარსებული იქნა სავაჭრო ცენტრი — დიოსკურია. ჩვენს ერამდე პირველ საუკუნეში, ამ ადგილას შორეული რომ. იმპერიის ფორპოსტი — ციხე სებასტოპოლისი ჩნდება. XVI საუკუნეში, აფხაზეთის სანაპიროები თურქებმა დაიპყრეს, სოხუმი სამხედრო ბაზად აქციეს და 1810 წლამდე ეჭირათ იგი. 1810 წელს რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა განდევნა თურქები, 1847 წლიდან კი ციხე-სიმაგრე მიმდებარე გარეუბნებით ოფიციალურად გადავიდა რუსეთის იმპერიის ხელში.

რუსეთ-თურქეთის ომის დროს, 1877-78 წლებში, თურქებმა ხელთ იგდეს სოხუმი. მათ ისე დაანგრიეს და გაავერანეს ქალაქი, რომ 1896 წლისათვის იქ სულ რაღაც 412 მცხოვრებილა ყოფილა.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სწრაფად განვითარდა საქალაქო მეურნეობა, გადახალისდა და აშენდა მრავალი სამრეწველო საწარმო: თამბაქოს საფერმენტაციო დიდი ფაბრიკა, საკონსერვო ქარხანა, ავტოსატრანსპორტო სახელოსნოები, აშენდა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები.

**1931 წელს სოხუმში გაიხსნა მუსიკალური სკოლა.**

**1932 წელს სოხუმში გაიხსნა პედაგოგიური ინსტიტუტი.**

**1950 წელს ქუთაისიდან სოხუმში გადაიტანეს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი.**

## სიზმარი

**ბაგრატ შინკუბა**

სიზმრად ვნახე, ლურჯი ცხენით
გადვიქროლე მთაო,
ეს რას ნიშნავს, ამიხსენი,
ნეტავ, დედა, რაო?
— შვილო ჩემო, გეთხოვება
ყრმობის წელთა ხმაო,
აზრი ფრთას შლის და ცხოვრებამ
უკვე გახსნა გზაო.
— ციცაბოებს, ლურჯა ცხენით,
მივაწვდინე ხმაო,
ეს რას ნიშნავს, ამიხსენი,
ნეტავ, დედა, რაო?
— შრომის გარდა, შენს დიდებას
ვერვინ შექმნის სხვაო,
წინ ძნელი გზა დაგიხვდება
დაგელოცოს გზაო!
— შეჯგუფული, მწვანე მინდვრად
იდგა ხალხის ზღვაო,
ხალხი რატომ დამესიზმრა,
ნეტავ, დედა, რაო?
— ღირსეული გამოხვიდე,
ხალხმა გულით თქვაო,
შვილო, გულით ვამბობ კიდევ:
დაგელოცოს გზაო.

თარგმნა რევაზ მარგიანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1928 წლიდან სოხუმში არსებობს სახელმწიფო დრამატული თეატრი.

1936 წელს რკინიგზის ხაზმა სოხუმი თბილისს დაუკავშირა, დიდი სამამულო ომის დასასრულს კი აფხაზეთი რკინიგზით დაუკავშირა ჩრდილოეთ კავკასიას და ჩვენი ქვეყნის ცენტრალურ რაიონებს.

1948 წელს მწყობრში ჩადგა მდინარე გუმისთაზე აგებული სოხუმის ჰესი.

სოხუმშია საქ. მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკური ბაღი. იგი 1840 წელს დაუარსებია პუშკინის მეგობარს ნიკოლოზ რილეევს. დღეს აქ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის სუბტროპიკული მცენარეულობაა თავმოყრილი.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ იწყება რესპუბლიკაში სამედიცინო ქსელის სწრაფი განვითარება. კოლოსალური მუშაობა ჩატარდა მალარიასთან საბრძოლველად. მალარია — მშრომელთა ნამდვილი უბედურება რევოლუციამდელ აფხაზეთში — დღეს სავსებით მოსპობილია. 1945 წელს აფხაზეთში მუშაობდა 375 ექიმი და 746 საშუალო სამედიცინო პერსონალი. 1958 წელს კი 1054 ექიმი და 2936 ფერშალი, სამედიცინო და და სანიტარი ქალი. 1960 წლისათვის რესპუბლიკაში ყოველ ათას მცხოვრებზე მოდიოდა 2,5 ექიმი. ახლა ერთი ექიმი დაახლოებით 300 კაცს ემსახურება (თურქეთში, მაგალითისათვის, ერთი ექიმი 3703 ადამიანს ემსახურება, ირანში 7692-ს, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 833-ს). 1921 წელს რესპუბლიკაში იყო 148 სკოლა 10468 მოსწავლით, ახლა აფხაზეთში ხუთასამდე ზოგად-საგანმანათლებლო სკოლაა, სადაც ასიათასამდე მოსწავლე სწავლობს.

დღეს აფხაზეთში თხუთმეტამდე სამეცნიეროსაკვლევო დაწესებულებაა, სადაც 600-მდე კაცი მუშაობს.

რესპუბლიკაში 150-ზე მეტი მასობრივი ბიბლიოთეკაა, 220-მდე საკლუბო დაწესებულება, მუშაობს 200-მდე კინოდანადგარი.

სოხუმის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ადგილია 1927 წელს დაარსებული — მაიმუნების სანაშენე. ახლა იქ 1500-ზე მეტი მაიმუნი ჰყავთ. ამ სანაშენეს ბაზაზე სამედიცინო აკადემიის ექსპერიმენტალური პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტი ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მნიშვნელოვან თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს სწავლობს.

უდიდესი პოპულარობით სარგებლობს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, აფხაზეთის შესანიშნავი კურორტები, დღეისათვის აფხაზეთში 70-მდე სანატორიუმი და დასასვენებელი სახლია.

**ივანე თარბა**

ცას,  
როგორც ზღაპრულ ტელესკოპს  
ვუმზერ,

მწუხრი მიფრინავს  
ფრთების სავსავით —  
და როგორც დევგმირს,  
სამშობლოს გულზე  
გაბრწყინვებია ცისკრის  
ვარსკვლავი.

ვოცნებობ,  
გული მითრთის და მერჩის,  
მგონია,  
მიწა შრომით დაღლილი  
კვლავ, როგორც დედა,  
ამიყვანს ხელში  
და ცის გუმბათზე დამსვამს  
ბალღივით.

ჩემი ხმა ახლა  
მსოფლიოს ესმის,  
აღარ არსებობს ჩვენთვის  
საზღვრები.  
მიწაში ღრმად გვაქვს  
გადგმული  
ფესვი  
და მხრებით მაინც  
ზეცას ვაწყდებით.

თარგმნა მორის ფოცხიშვილმა.

ტყუილად ხომ არ არის განთქმული აფხაზეთი სიცოცხლის ხანგრძლიობით. საოცრად შეზავებული ჰავა ამის პირველი საწინდარია. ახლა აფხაზეთში 90 წელს გადაცილებული 2000 მოხუცი ცხოვრობს. სოხუმში მოხუცების მომღერალთა გუნდიც კი არსებობს, სადაც ყველაზე უმცროსი 70 წლისაა, უფროსი კი 118-ისა.

ამ ათიოდე წლის წინ გაგრასთან ახლოს, ბიჭვინთის კონცხზე დიდი მშენებლობა გაიშალა. ათ წელიწადში ეს სანაპირო ზოლი შესანიშნავი ნაგებობებით — თოთხმეტსართულიანი სასტუმროებითა და სანატორიუმებით დაიფარა. ახლა კურორტი ბიჭვინთა მრავალ უცხოელ სტუმარსაც ემსახურება. დასვენების ბევრი ახალი კერა აშენდა გაგრაში, გუდაუთაში, ახალ ათონში.

შრომითა და ხალისით სავსე ცხოვრებით ცხოვრობს დღეს აფხაზეთი. შრომობს და იბრძვის კიდევ უფრო ნათელი მომავლისათვის აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობა.

# მფრინავი რაშების ველი

**შ. ნეიჯბა**

მხატვარი იური ქლიბაძე

მოთხრობა

მფრინავი რაშების ველზე უამრავ ხალხს მოეყარა თავი, იდგა ერთი ყიჟინა და მხიარულება. მთელი კავკასიის მამაცი მხედრები აქ იყვნენ თავიანთი მარდი დოღის ცხენებით. ჯირითი იწყებოდა.

აფხაზ ვაჟკაცს უყვარს ცხენი. ამიტომ თუკი სადმე ჯირითია, რას მოაკლდება! ტყუილად კი არ არის ნათქვამი: აფხაზი ცხენის ზურგზეა დაბადებულიო. რაღა თქმა უნდა, მთელ კავკასიაში სახელგანთქმული მფრინავი რაშების ველიც, სხვაგან სად უნდა იყოს, თუ არა აფხაზეთში?

უხუცესი ბერიკაცების გადმოცემით ადამიანი ცხენს პირველად ამ ველზე შეხვედრია და იმ დღიდან უწოდებიათ ამ ადგილისათვის მფრინავი რაშების ველი. მას მერე მარულა ამ ველზე იმართებაო.

დაძაბულად ჩაიარა გუნდების ბრძოლამ. ზღუდეთა გადალახვაც მოთავდა, ლელოსა და დროშის მოსაპოვებლადაც იასპარეზეს. ახლა კი ყველაზე ამაღელვებელი შეჯიბრი უნდა დაწყებულიყო, რომელიც უფრო მეტად იტაცებდა მაყურებლის სულსა და გულს, ეს გახლდათ ჯირითი, სადაც თავის გამოსაჩენად მხედრებს მთელი ძალ-ღონე უნდა მოეკრიბათ. აგერ, ისინიც გამოჩნდნენ, ფეხმარდ მოჯირითე ცხენებზე ამაყად შემართულები. მთელი მინდორი შემოიარეს, რომ წინასწარ შეჩვეულიყვნენ ცხენები დოღის გზას, მხედრები ერთმანეთთან მიჯრილები მხნე შემოძახილით მოედინებიან. გუგუნებს ძველებური აზარი — აფხაზური მხედრული, ნაცნობმა ჰანგმა სიამოვნების ჟრუანტელი მოჰგვარა მაყურებელთ. ეს სიმღერა ისევე გადმოდის თაობიდან თაობაში, როგორც თავად ჯირითი. ეს ჰანგი მთელ კავკასიაში კვლავ ძალუმად წკრიალებს, სიბერე არ ეკარება!

მხედრების უმეტესობა ჭაბუკები არიან, მაგარი ბიჭები ჩანან. ცხენებიც სანიმუშოდ ჰყავთ გაწვრთნილები.

— აბა, ახლა იქნება, რაც იქნება! — მოთმინება ელევა მწვანე ჩოხაში გამოწყობილ მაღალ-მაღალ, წარმოსადეგ მამაკაცს, ის მაყურებელთა ერთ ჯგუფში იდგა და თვალებს ცნობისმოყვარეობით აცეცებდა. — რა რაშებია! ერთიმეორეზე უკეთესები. ჯერ მარტო მათი შეხედვა ღირს ერთ რამედ!

— მართალს ბრძანებთ. — კვერი დაუკრა მეორემ და შავ ულვაშებზე ხელი გადაისვა. — ნეტავ რაღას ელოდებიან? დაიწყონ, ამოდენა ხალხი საყურებლად არის მოსული...

— მფრინავი რაშების ველზე აფხაზი, არასოდეს დამარცხებულა და არც უნდა დამარცხდეს! — რწმენით წარმოთქვა ერთმა მამაცი იერის შუახნის კაცმა და ორივე ხელი ფიცხლად წაივლო ხანჯალზე.

-- დღევანდლამდე მართლაც რომ ჯერ არ დავმარცხებულვართ, მაგრამ არავინ იცის, როგორ შეგვიტრიალდება ჩვენი ბედი. — ცოტა არ იყოს უიმედოდ მიუგო მწვანე ჩოხიანმა.

— თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე კი ღრმად დარწმუნებული ვარ, ჩვენი რაში ყველას უკან მოიტოვებს, — დაბეჯითებით თქვა ხანჯლიანმა კაცმა.

მისმა წინასწარმეტყველებამ გარშემო მყოფთ რწმენა ჩაუნერგა და ისე წაახალისა, თითქოს უკვე აუწყეს კიდეც აფხაზთა გუნდის გამარჯვების ამბავი.

მაისის მზე ჩახჩახებდა. მისი სხივებით მოფენილი მფრინავი რაშების ველი ათასფერადი ყვავილებით აჭრელებულიყო. სიო ირგვლივ დამათრობელ სურნელს ჰფენდა. ბზისა და საროს ტოტებში მიმალული ბულბულები და შაშვები საამოდ გალობდნენ, იმათ, აბა, რაში ეკითხებოდათ მაყურებელთა მღელვარება და განცდები, რომლებიც ჯგუფ-ჯგუფად მოსდგომოდნენ მოაჯირს და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ.

მხედრებმა ველს ირგვლივ შემოუარეს და სასტარტო ზღვართან შეჩერდნენ, საიდანაც ბედნიერების მოსაპოვებლად უნდა გაფრენილიყვნენ.

ენა ადვილად იტყვის ამ მოლოდინის განცდას! გაფიცხებული ცხენები ყალყზე დგანან. აგერ ერთი რაში მოუთმენლად ღრღნის ლაგამს. ეს რომ არ აკავებდეს, აქამდე ვინ იცის საით გაიქროლებდა, მეორეს — ცეცხლი უბრიალებს თვალებში, ჯიქურ ათვალიერებს თავის მეტოქეებს და თითქოს ნიშნს უგებს: „ნურც გიფიქრიათ, რომელიმემ მიმასწროთ ფინიშამდეო". ნაპირზე მდგომი მერანი კი გაავთრებით ტორავს, თითქოს მიწას გამძლეობას უსინჯავს, გაუძლებს თუ არა ჩემი ფლოქვების დარტყმასო, დანარჩენებიც ვერ პოულობენ ადგილს. მხედრებს ხომ — ნუღარ იტყვით... ერთი უზანგებზე შემდგარა, მეორეს ხელში გამზადებული მათრახი უთრთის, მესამე ალვირს ჩაჰფრენია... მოლოდინით დაძაბულია ყველა და აჰა, დაჰკრეს ნაღარას, ალამი დაიქნიეს და... რაშები მოსწყდნენ მიწას...

ტაშის გრიალმა გააყრუა თვალუწვდენელი ველი. ჯერ ცხენები ერთ მწკრივად მიჰქროდნენ, მერე კი გაიფანტნენ: ზოგი დაწინაურდა, ზოგი ჩამორჩა. მალე ისე შორს გაინავარდეს, რომ ძლივსღა მოჩანდნენ. მხედრებმა წრეს დაუარეს და ისევ აღმა წამოვიდნენ — წინ ერთი მოჰქროდა, დანარჩენები კი გადამფრენ წეროებივით ორმწკრივად დაყოფილები მოიჩქაროდნენ. მწკრივი ისევ აირ-დაირია. ახლა ჩამორჩენილებმა გაუსწრეს დაწინაურებულებს. ხან ერთნი არიან წინ, ხან მეორენი.

მაყურებლები კი ეკლებზე სხედან. თითოეული თავისებურად განიცდის ველზე მომხდარ ცვლილებას და გუნება იმის მიხედვით ეცვლება, წინ მოდის თუ ჩამორჩა მისი რჩეული.



ჯირითმა უკვე თავისი დაღი დაასვა ცხენებსაც და მხედრებსაც, დაღლა შეეტყოთ.

ყველაზე მეტად ზუგდიდელი ბერიკაცი ღელავს. ადრე სახელგანთქმული მხედარი ადგილზე ვერ ჩერდება. ხელში წკეპლა უჭირავს და წამდაუწუმ წაღებზე ირტყამს, თითქოს თავადაც დოღის ცხენზე ზისო. მისი ასეთი მღელვარება უმიზეზო არ იყო: ის ცხენი, რომელზედაც ყველაზე დიდ იმედებს ამყარებდა, უკან ჩამორჩა, ისე დაიღალა და მოიქანცა, რომ სადაც იყო ჩაიკეცებოდა. არც მისი მხედარი იყო კარგ დღეში. წელში სამად მოხრილიყო, შარვლის ტოტები მუხლებს ზემოთ ახვეტოდა და ფეხები გაშიშვლებოდა.

— მათრახი გადაჰკარ, მათრახი! — შეჰყვირა ზუგდიდელმა ბერიკაცმა, როცა იმ მხედარმა წინ ჩაუარა. — გამოგვჭერი ყელი და ეგ არის, შე კაცო! — ჭარხალივით გაწითლებული ბერიკაცი გვერდით მდგომებს მოუბრუნდა: — ზუგდიდში ამ ცხენმა რამდენჯერმე მოიპოვა ჯილდო მარულაში, აქ რაღა ჯანდაბა დაემართა? უთუოდ ვიღაცამ თვალი ჰკრა. — ბერიკაცმა სიმწრისგან გადააფურთხა და წკეპლა შემოირტყა ფეხზე. — შენ გადაშენდი, რის მაქნისი ხარ! კაცი არ ვიყო, თუ შიგ შუა ენგურში არ გადაგიძახო! — ექადნებოდა ბერიკაცი ცხენს.

არც ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსული მაყურებლები იყვნენ მოლხენილები. იმათმა ცხენებმაც აითრიეს ფეხი.

ცხენები ჯირითის ბოლო წრეს დაადგნენ, ერთმა წითელჩოხიანმა ყმაწვილმა ხიმცამ თავის ცხენს შეუყიჟინა და გრიგალივით გაიჭრა წინ.

პატარა მოჯირითე ხიმცა არშბა მესამე კლასის მოსწავლეა. ქურციკივით მკვირცხლი ბიჭუნა ჯირითის დიდი მოტრფიალეა. თავისი ცხენი ძალიან უყვარს, განსაკუთრებით ახლა, როცა ასე გამოიჩინა თავი და ასახელა თავისი მხედარი. აფხაზების მთელი იმედები ამ ბიჭუნაზე იყო. ამას უნდა დაეცვა გუნდის ღირსება. ეს იცოდა ხიმცამ. ამიტომ მიჰქროდა იგი გახელებული და თან წკრიალა ხმით დასჭყიოდა თავის ცხენს: „გაფრინდი, გაფრინდი, ჩემო ქროლიავ!“... თეთრი ცხენიც მიჰქროდა მთლად ოფლში გახვითქული, ქშენითა და ფრუტუნით, გახალისებული თავისი სიმარდით, უფრო ძალუმად მიაპობდა სივრცეს.

მაყურებლები თვალს არ აშორებენ წითელჩოხოსან პატარა მხედარს, მისი სიმარდით გახარებულები მქუხარე ტაშით აჯილდოებენ, ზოგმა ყვავილებიც ესროლა, მაგრამ ვის ეყოფოდა ძალა, რომ მიეწვდინა?!

მწვანეჩოხიანი სწრაფად მიიჭრა სატევრიან კაცთან და მიახარა:

— ჩვენები იმარჯვებენ, უთუოდ იმარჯვებენ! მართლდება თქვენი ნათქვამი.

— მფრინავი რაშების ველზე დამარცხებული აფხაზი ჯერ არავის უნახავს! — თავი ამაყად ასწია სატევრიანმა კაცმა და მხრებში გასწორდა.

პირველობისათვის აფხაზ ბიჭუნას სამი მხედარი ეტოქებოდა. თითოეული მათგანი თავის ენაზე ახალისებდა ცხენს. სულ წინ და წინ მიჰქრის ხიმცა: მზეზე ელვარებს იმისი წითელი ჩოხა. მასპინძლებისათვის ეს წითელი ფერი სულის

გამთბობი კოცონია, სტუმრებისათვის კი — წინ მიმავალი გზის მანათობელი.

ხიმცა! თურმე ტყუილად როდი შეურქმევიათ ამ ბიჭუნასათვის ეს სახელი. ხიმცა აფხაზურად ოქროს კოცონს ნიშნავს!..

ბიჭუნას უკან დადევნებულ სამ მხედართაგან უცებ ერთი გამოეყო. წითელი ჟოკეის ქუდიანი მხედარი უზანგზე იდგა, ჯიდაოს ორივე ხელით ჩაჭფრენოდა და მთელი ტანით მიილტვოდა წინ...

— სვეტლოვი, სვეტლოვი! — დაირხა ხმა მაყურებლებში.

კრასნოდარელი მხედარი გიორგი სვეტლოვი ასე 25-27 წლის ვაჟკაცი იყო. სპორტის ოსტატი თავისუფლად ლახავდა ზღუდეებს, გაქანებული ცხენიდან იღებდა მიწაზე დაგდებულ ფულს.

მიჭქრის სვეტლოვის ცხენი. ეს ის ქურანია, დოღის დაწყების წინ ცეცხლოვანი თვალებით რომ აფრთხილებდა მეტოქეებს — ნურც იფიქრებ. ჩემს გასწრებასაო. ახლა ძალიან განიცდიდა, რომ მის სურვილს თეთრი ცხენი გადაუდგა.

ხიმცას ქროლია მართლაც, რომ ნიავქარივით მიჭქრის, პირველად ხომ არ არის ჯირითის მონაწილე, გრძნობს — გადამწყვეტ გზას ადგია! მთელი არსებით შეიგრძნობს თავისი ნორჩი მხედრის გულის ბაგაბუგს.

— გაფრინდი, ჩემო ქროლიავ, გაფრინდი! — ეფერება ხიმცა ცხენს, და პირისახეს ფაფარში მალავს. მიჭქრის ბედნიერი, ამაყი, თითქოს ამ ცხენთან ერთად მთელ აფხაზეთს მიაქროლებსო.

მაყურებლებში მღელვარებამ იმატა და მოაჯირს მიაწყდნენ. ფინიში მოახლოვდა. ხიმცამ მედიდურად, ლაღად გადაჰკრა ცხენს მათრახი. გადაჰკრა და, ჰოი, ღმერთო დიდებულო! რა საბედისწერო გამოდგა ეს გათამაშება! ცხენი წაბორძიკდა, თავი ვეღარ შეიმაგრა და ყირაზე გადავიდა. მხედარი მიწაზე გაგორდა.

ამ მოულოდნელობამ ყველა განაცვიფრა. შეშინებულმა ქალებმა წივილკივილი ატეხეს, სატევრიან კაცს, — ასე რომ იყო დაიმედებული აფხაზის ცხენის გამარჯვებით, — სულ თავგზა აებნა. უნებურად ხანჯალზე იტაცა ხელი, ნახევარზე კიდეც ამოიღო ქარქაშიდან, მაგრამ იქვე გაქვავდა. საოცარი რამ მოხდა. თეთრი ცხენი უმალ ფეხზე წამოხტა და გამყინავი ჭიხვინით გაქანდა. ბიჭუნაც, თითქოს მიწას არც კი შეხებიაო, უკან დაედევნა.

ეს ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა, ელვის სისწრაფით.

მირბის ხიმცა გამალებული, უხილავ ძალას აყოლებული. მირბის თავდავიწყებით და მისძახის თავის ცხენს: ქროლიავ, ჩემო ქროლიავ!

მაყურებლები დაიბნენ. ზოგს ეგონა, ბიჭს ცხენის გაჩერება უნდაო, ზოგი შიშმა აიტანა. უცებ ველზე ყვირილი ატყდა. ხალხს შეეშინდა, ბიჭი უკან მომავალ ცხენებს არ გაეთელათ, ვიღაც კაცმა კიდეც დააპირა ხიმცასთვის ხელი ეტაცნა, მაგრამ ბიჭი თვალსა და ხელს შუა გაუქრა. გიორგი სვეტლოვი თავისი ქურანიდან მიწამდე გადმოიზნიქა და, როგორც ქორმა წიწილა, ისე მოიტაცა ბიჭი.

სვეტლოვმა აღვირი მოსწია ცხენს და ბოხი ხმით შეუძახა. წაბლამ იგრძნო ზედმეტი სიმძიმე, მაგრამ უმალ შეეგუა და მთელი ძალით გაიჭრა წინ.

ოფლში გახვითქულმა ხიმცას თეთრმა ცხენმა, რომელსაც უნაგირი გვერდზე მოჰქცეოდა, ისარივით გადაკვეთა ფინიში. ტაშმა დაიგუგუნა. ვაშას ძახილი მოეფინა მფრივანი რაშების ველს. ყიჟინა ლაცამ ჰაერში გაისროლა! თეთრ ცხენს ფეხდაფეხ მიჰყვა ქურანა. სვეტლოვმა ორივე ხელით ზე ასწია ბიჭუნა და წინ წამოაყენა, რითაც აცნობა მაყურებლებთ — გამარჯვება ხიმცა არშბამ მოიპოვაო!

თარგმნა ქეთევან ჭილაშვილმა.



## „კომუნიზმი შენდება მილიონთა შრომით"
## მარშრუტი „პროფერმშენი"

გალის რაიონი.
სოფელი ოქუმი.
ირგვლივ:
სიმინდის ყანები,
დაფნა,
ჩაის პლანტაციები.

უზარმაზარი პლანტაცია, ერთი შეხედვით, უცებ ზღვა ეგონება კაცს. ლარივით სწორი მწკრივები თითქოს მოლივლივე ტალღებიაო.

დილის ცვარი ჯერ კიდევ არ ამშრალა ბალახსა და ფოთლებზე — მზის პირველ სხივებში თვალისმომჭრელად ბრჭყვიალებს.

ჩაის ხასხასა ბუჩქებზე მრავალი ჭილის ქუდი ფარფატებს, ასობით გამრჯე ხელი ფათურობს მწვანე დუყებს შორის და დიდრონ კალათებში გამალებით ხვავდება „მწვანე ოქრო".

ერთი სიტყვით, ჩაის გაცხარებული კრეფაა. ყველა იმას ეშურება, წუთი რა არის, წუთიც არ გაუცდეს უქმად.

დიდებს ნორჩებიც ამოსდგომიან მხარში. აბა, ამ დროს რა გული დაუდგებოდათ შინ! მით უმეტეს, ზაფხულის არდადეგებია.

აგერ, პლანტაციის ერთ კიდეს, განმარტოებით, ათიოდე გოგო-ბიჭი შესევია.

— ბავშვებო, თუ იცით, პირველმა რგოლმა გუშინ ჩვენზე ათი კილოგრამით მეტი რომ ჩააბარა? — თვალციმციმა გოგონა ერთი წამით წელში გაიმართა და თანატოლებს გადახედა.

— ვიცით, ციცინო, ვიცით. — კრეფა არ შეუწყვეტია, ისე მიუგო გვერდითა მწკრივზე დახრილმა. — აბა, ამ საღამოს დაიტრაბახონ!

— თხა თხაზე ნაკლებიო...

— წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო... — გამოეპასუხნენ სხვებიც.

...მზემ უკვე შუბის ტარზე აიწია. თანდათან დაცხა. მკრეფავები კი უფრო და უფრო შედიან შრომის ეშხში. დიდებს ფეხდაფეხ მიჰყვებიან ნორჩებიც.

* * *

წვიმს, წვიმს — დილიდანვე თავსხმაა.

ასეთ ამინდში, ცხადია, პლანტაციაში არ გაისვლება.



# ბარაქალა მათ!

ჩვენი ნაცნობი გოგო-ბიჭების ხმები ახლა მშობლიური სკოლის კედლებს შორის გაისმის. სხვებთან ერთად ისინიც ეხმარებიან ოსტატებს მერხებისა და მაგიდების, სასკოლო ინვენტარის შეკეთებაში, ალაგ-ალაგ კედლების მობათქაშებაში; დერეფნებში მოღაღანე მცენარეებსა და ყვავილებს თავს დასტრიალებენ.

საღამოს კი ერთად ნახავენ ახალ კინოსურათს.

კვირადღისათვის ექსკურსიაც აქვთ დაგეგმილი — ოქუმწყალის თვალწარმტაც შესართავს დაათვალიერებენ..

●

არდადეგები თითქოს შეუმჩნევლად მიიწურა.

პირველ სექტემბერს ორას ორმოცდაათამდე მზემოკიდებულმა წითელყელსახვევიანმა მიაშურა ოქუმის საშუალო სკოლას.

ყოველ მათგანს ბევრი რამ ჰქონდა საამბობი მასწავლებლებისა თუ ტოლებისათვის — როგორ გაატარა ზაფხული, რით ასახელა აღმზრდელი სკოლა.

დიახ, ბევრი რამ ჰქონდათ სათქმელი, საამაყო. და მაინც მეხუთე რაზმის პიონერები ყველაზე წელგამართულნი წარსდგნენ რაზმეულის წინაშე.

მეხუთერაზმელთაგან კი სხვებზე უფრო ხელდამშვენებული მოვიდნენ მესამე რგოლის წევრები. სწავლაში სანიმუშოებმა შრომაშიც ისახელეს თავი.

აი, ისინიც: დარეჯან ჯგუბურია, როლიკო ჩერქეზია, ციცინო მარკოზია, ჟილინი ყოლბაია, სვეტლანა ჯუმუტია, მარინე ჯგუბურია, ოთარ ჯობავა, თინა ჯანჯულია, ლეილა ქვაჩახია, ნუგზარ საჯაია.

ამ შრომისმოყვარე ბავშვებმა ზაფხულის არდადეგებზე 8 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს.

ბარაქალა მათ!

●

საოცრად ლამაზია ოქუმი, მისი შემოგარენი.

გამრჯე მკვიდრთა ხელმა დაამშვენა იგი ასე.

ბევრი შრომის გმირი აღზრდილა აქ და საქვეყნოდ გაუთქვამს სახელი.

მოდის მათი ახალი, საიმედო ცვლა.

ვინ იცის, იქნებ ოდესმე ზემოთ ჩამოთვლილებმაც დაიმშვენონ მკერდი ოქროს ვარსკვლავით!

ს. ბეჩოელი.

ფოტო გ. ყოლბაიასი.



„სრს — 58“-ის კაპიტან-ბრიგადირი ამირან ქაროსანიძე.

# ღამე მეთევზეებთან

მოსე გვასალია

## შუქურა

ლამპიონების ორომტრიალში, ნათურების ჩახლართულ კრიალოსნებში, ფერად-ფერად ილუმინატორებში უსათუოდ გამოარჩევთ ერთ დიდ, ბრიალა მანათობელს, ყველაზე უფრო კაშკაშას და შუქმფრქვევს; ზღვაში ანარეკლს, დატეხილ ბილიკს გამოაჩენს, ზედ სინათლის ძნებს დააყრის და შემდეგ უცებ ჩაქრება. მოზომილად, ზუსტად, გამოთვლილ დროში ისევ აინთება, ისევ აბრიალდება და კვლავ ჩაქრება...

ეს შუქურაა! მამაც ადამიანებს, მეზღვაურებს უნათებს გზას, სინათლე შორს, ზღვის უძირო ჯურღმულებისკენ აქვს გასროლილი. გემის კაპიტანი დაინახავს ამ შუქურას და მიმართულებას იოლად გაიკვლევს. სოხუმელები ქალაქის ამ კუთხეს შუქურის უბანს ეძახიან.

## მეთევზეები

შუქურის რაიონში მოთავსებულია სოხუმის გემთშემკეთებელი ქარხანა და ახალი ტექნიკით აღჭურვილი თევზკომბინატი. ამათ გვერდით, რკინის ალაყაფის კარებზე, მეზღვაურების ემბლემა — ღუზაა გამოსახული, ხოლო ზემოთ დიდი ასოებით სწერია: „სოხუმის მეთევზეთა კოლმეურნეობა“. შემთხვევით კი არ არის ეს დაწესებულებები ერთმანეთის გვერდით; კომბინატს კოლმეურნეობა ამარაგებს ნედლეულით, ხოლო შემკეთებელი ქარხანა კოლმეურნეობის გემებს აწესრიგებს.

ახლა, როცა ეს-ეს არის მზე ჩასვენა და ქალაქი მოსვენებას მიეცა, კოლმეურნეობის ეზოში უჩვეულო ფუსფუსია. აქ სამუშაო დღე სწორედ ახლა იწყება. შემოდიან ბრეზენტის განიერ შარვლებსა და ხალვათ სპეცტანსაცმელში გამოწყობილი მეზღვაურები, რეზინის მაღალყელიანი ჩექმები აცვიათ, ფართოფარფლიანი ქუდები ჰხურავთ. აი, ამ ბნელ ღამეს თევზსაჭერი კატარღით, სეინერით გადიან ზღვაში. მეც დიდი ხნის ნატვრა მისრულდება, თან მივყვები მათ. ისიც მიხარია, რომ ჩვენთან ერთად მოდის ამ კოლმეურნეობის ოცდაათი წლის განმავლობაში უცვლელი თავმჯდომარე ისაკ კირტავა.

კიბის რამდენიმე საფეხურს დავკარი ფეხი და, ჰა, მე უკვე მეორე სართულზე ვარ,. თავმჯდომარის სამუშაო კაბინეტში.

## ისაკ კირტავა

აბაჟურიანი ლამპით გაჩახჩახებულ განიერ მაგიდას ახოვანი, მზით დაწვარი, კუნთოვანი ვაჟკაცი უჯდა, კოსტიუმის შიგნით ხალათის საყელოზე რამდენიმე ღილი შეხსნოდა, ფალავნის კისერი მოუჩანდა. ის მაშინვე წამოდგა და ჩემსკენ კოჭლობით გამოემართა. ხელი გამომიწოდა, თავისი უცერო ხელი. ჩვენ ძველი მეგობრები ვართ და მე ვიცი, ეს გერმანელების ტყვიამფრქვევის ავი სახსოვარია. სამი მძიმე ჭრილობა კიდევ აქვს ისაკს მარცხენა ფეხზე, ერთი მეორეზე გაუსაძლისი, სამი მსკდომი ტყვია მოხვდა, წვივი მთლად დაუმსხვრია: ექიმებმა ნატეხები ერთმანეთზე ზუსტად მიაწყვეს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოცრება მოხდა, ძვალი ერთმანეთს შეეზარდა! ისაკს რკინისებურმა ჯანმრთელობამ უშველა, თორემ მეზღვაურის ხიფათიან ცხოვრებას უნდა გამომშვიდობებოდა. იდგა 1943 წლის იანვარი.

ისაკი ზღვაშია დაბადებული და გაზრდილი. აკვნის ნაცვლად ნავი არწევდა, იავნანას ზღვა უმღეროდა, გული მუდამ ბობოქარი ტალღებისკენ მიუწევდა და შვებასაც იქ პოულობდა. 14 წლის იყო მოჯამაგირედ რომ დაუდგა ერთ კერძო მეწარმეს, მერე სოხუმის პორტში მოეწყო მტვირთავად და თან საღამოს სკოლაში დაიწყო სწავლა. 1937 წელს საშუალო საზღვაოსნო სკოლა დაამთავრა და თევზსაჭერი გემის კაპიტნად დანიშნეს. გამტანი, მოკრძალებული, საქმის უსაზღვროდ ერთგული მეზღვაური მალე კოლმეურნეობის ხელმძღვანელად ამოირჩიეს და აი, სწორედ აქ მოუსწრო სამამულო ომმა. პირველ დღესვე ფრონტზე გაიწვიეს.

... სოხუმელმა მეთევზეებმა ბორჯომის ჰოსპიტალში მიაგნეს ისაკ კირტავას და მძიმედ დაჭრილი თავიანთი თავმჯდომარე ექიმებს არ დაანებეს... ცოტა ნაადრევად კი მოუვიდათ მისი ჰოსპიტლიდან გამოწერა, მაგრამ სხვა გზა არ იყო, ომის ქარცეცხლი ქვეყანას წარღვნით ემუქრებოდა. სოხუმის კოლმეურნეობა კი დაქსაქსვის გზაზე იდგა, ხოლო თევზი ქვეყნისთვის ისევე იყო საჭირო, როგორც ტყვია და თოფისწამალი.

ყავარჯნებზე დაყრდნობილი, სისხლისაგან დაცლილი ჯარისკაცი ამხანაგებმა ბორჯომიდან სოხუმში ჩამოიყვანეს და ძველს ნაფუძარზე ისევ ხელმძღვანელობა დააკისრეს...

მეოთხედ საუკუნეზე მეტმა დრომ ქუხილით ჩაიარა... ბევრი მძიმე იარა მოშუშდა, მოშუშდა ისაკ კირტავას ჭრილობებიც. კოლმეურნეობაც გამდიდრდა, დამშვენდა, უახლესი ტექნიკით შეიარაღდა, ლაღად გაშალა ფრთები და ზღვის უსასრულო სივრცეებს წაღმა-უკუღმა სერავს.

## „სჩს — 58"

— მაშ, მივდივართ, ჰა! — ისაკი მეზღვაურის ქუდს თავზე იხურავს და კარებისაკენ მიიჩქარის. საქმეში ყელამდე ჩაფლულს, დღესაც თავისი საზრუნავი აქვს, სეინერი „სჩს-58" შეკეთების შემდეგ დღეს პირველად გადის თევზის საჭერად. საკუთარი თვალით უნდა ნახოს ყველაფერი, შეკეთების ხარისხი შეამოწმოს, ვარგისიანობაში დარწმუნდეს.

... ჩვენ უკვე ზღვის ნაპირზე მივდივართ, ხრეში ჩხრიალებს მძიმე ჩექმების ქვეშ.

ნაპირიდან ოდნავ მოშორებით რეიდზე ნელა ირწევა სეინერი. მისი კილოვატიანი ლამპები ბრიალებენ. გარკვევით ჩანს ცადაზიდული მოქანავე თეთრი ანძა, რადიოანტენა და გემბანზე დახვავებული კაპრონის მოყვითალო ბადე.

სწრაფად ჩავსხედით ნაპირთან მიბმულ ნავში და ნიჩბებს მოვუსვით. დგაფუნით ვჭრიდით ტალღას, შხეფები ზედ გვეპკურებოდა. მალე სეინერს მივადექით.

— ვაჟა! — ასძახა ისაკმა. ზემოდან ტანბრგე ბიჭები გადმომდგარიყვნენ. ერთმა ხელი ჩამოგვაწოდა; ეს იყო ვაჟა კირტავა, ისაკის ვაჟიშვილი. როცა ჰაერში მსუბუქად დავეკიდე, მაშინ ერთხელ კიდევ განვიცადე, რას ნიშნავს მეზღვაურის მძლე მარჯვენა. ვაჟამ მსუბუქად ამოგვსვა მაღლა. სეინერს ამოსასვლელი კიბე კი აქვს, მაგრამ ჩვენ ისე დავიჭირეთ თავი, თითქოს ისაკს არასოდეს არაფერი სტკენია და არც მე ვიყავი ჯაბანი.

ვაჟა კირტავასაც კარგად ვიცნობ. ომის შემდეგ დაიბადა. ამის დედასაც როგორც მამას, სწორედ მარცხენა ფეხი სტკივა. გერმანელებმა სოხუმს ყუმბარები რომ დააყარეს, ნამსხვრევი მოხვდა. და აი, ნაომარ, დაკოჭლებულ ცოლ-ქმარს ბუნებამ ერთადერთი ბიჭუნა აჩუქა, მაგრამ, სამაგიეროდ, სამი კაცის ძალა არ დაიშურა მისთვის. ახოვანი და ტანბრგე ვაჟა მამას დაემსგავსა. კვიცი გვარზე ხტის. ვაჟასაც უყვარს ზღვა. ასტრახანის თევზის წარმოების ინსტიტუტში სწავლობს დაუსწრებლად, მეოთხე კურსზეა. თან კოლმეურნეობაშიც მუშაობს თევზჭერის ტექნიკოსად.

კაპიტან-ბრიგადირი, ამირან ქაროსანიძე პირველი წარუდგა თავმჯდომარეს.

— „სჩს-58"-ის მთელი ეკიპაჟი, 12 კაცის შემადგენლობით, ადგილზეა და სეინერი მზად არის ღია ზღვაში გასასვლელად! — მოახსენა მან. ისაკს კმაყოფილების ღიმილი აუთამაშდა სახეზე...

მთელი ეკიპაჟი, 12 კაცი! აი, ვინ არიან ისინი: კაპიტან-ბრიგადირი და მისი მოადგილე, უფროსი მექანიკოსი — ასევე მოადგილეთურთ, რადისტი და შვიდი მეთევზე. როცა თევზი ბადეში ეხვევა, მაშინ ყველანი მეთევზეები ხდებიან და ერთნაირად მუშაობენ. ამჯერად კი სამნი მივემატეთ: ისაკი, ვაჟა და მე.

კაპიტანი უკვე საჭესთან იდგა.

— ასწიეთ ღუზა! — გაისმა ძახილი და უმალვე აგრიალდა ჯალამბარი, რომელსაც ღუზის ჯაჭვი ნელა ეხვეოდა. თავისუფლად ატივტივდა ჩვენი სეინერი და ტალღების თამაშს აჰყვა. შემდეგ ნელა დაიძრა ადგილიდან და კვალის ნაფაზები აჰყარა. თანდათან სვლას მოუჩქარა, აქანდა, ტალღებ-

**მ უ შ ნ ი ლ ა ს უ რ ი ა**

## არ დაგავიწყდე, ბიჭო

სულ რომ არ მქონდეს გულში,
სხვაზე ფიქრიც რომ ვსინჯო, —
მაინც ჩამესმის ყურში:
„არ დაგავიწყდე, ბიჭო".

რაც თავი მახსოვს ჩემი,
ყმაწვილკაცობის აქეთ, —
სხვაგვარი გულისძგერით
ვერ მივჯდომივარ საქმეს:

გუშინდელივით ვხედავ
ჩემს უფროსსა და მომვლელს,
მხრებზე რომ შემისვამდა,
მარბენინებდა ხოლმე.

ეს გახსენებაც მიჭირს,
თვალზე მადგება ცრემლი:
„არ დაგავიწყდე, ბიჭო!" —
თავზე დამადო ხელი.

მერე...
იცავდა მედგრად
მტრისგან ლენინის ქალაქს,
სანამდის სული ედგა,
არ დაუზოგავს ძალა.

და რომ არც მქონდეს გულში,
სხვაზე ფიქრიც რომ ვსინჯო, —
მაინც ჩამესმის ყურში:
„არ დაგავიწყდე, ბიჭო!"

წლები წავიდნენ, ბოლოს
შემხვდა ათასი ჯაფა...
და ბავშვობიდან მხოლოდ
ეს სამი სიტყვა დამრჩა.

თარგმნა
**იორამ ქემერტელიძემ.**

ზე ატლაშუნდა, ცურვის ეშხში შევიდა.

— სრული სიჩქარით წინ! — გაისმა ახალი ძახილი და მაშინვე ორმაგი ძალით აგუგუნდა მანქანა. ცხვირშემართული სეინერი ჰაერში წყლის შხეფებს ისროდა, გზას მიაპობდა. ნაპირს მოვწყდით, გეზი ღია ზღვისკენ ავიღეთ და რადისტმა პირველი დეპეშა მიიღო:

— ვინ ხართ და საით მიემართებით? — გვეკითხებოდნენ ჩვენი მესაზღვრეები.

პასუხი მორზეს ანბანითვე გასცეს.

— „ს ჩ ს-58“ მიდის თევზსაჭერად პირობით უბან „ვოლგა შვიდზე“, სადაც თვითმფრინავიდან ქაფშიას დიდი ქარავანია შენიშნული.

— გზა მშვიდობისა! — გვიპასუხეს მესაზღვრეებმა და მეტი არ შევუწუხებივართ. მეთევზეებს თვითმფრინავები უწევენ დახმარებას. წინასწარ ისინი ზვერავენ წყლის სარკეს. ზემოდან კარგად ჩანს თევზი — და როგორც კი დიდ ქარავნებს აღმოაჩენენ, მაშინვე მეთევზეებს ატყობინებენ. სწრაფი სეინერები მინიშნებულ ადგილისკენ გაექანებიან ხოლმე და ქარავანს თავს დაატყდებიან.

სწორედ ასეთი დეპეშა მიიღეს ამ საღამოსაც, სოხუმის კოლმეურნეობაში და მაშინვე „ს ჩ ს-58“ გზას გაუყენეს. ყველაფერი ეს მესაზღვრეებმაც კარგად იცოდნენ და ამიტომ ჩვენი პასუხი მათ სავსებით აკმაყოფილებდა.

## ექოლოტი

ამ ხელსაწყოს შეიძლება ჯადოსნური ვუწოდოთ. ის მართლაც ჰგავს ზღაპრულ სარკეს, მზეთუნახავები შიგ რომ იხედებოდნენ და მთელ ქვეყნიერებას ხედავდნენ ხოლმე, ათი სანტიმეტრის სიფართოვის პრიალა ქაღალდის გრაგნილი ნელნელა იხვევა, ზედ კალამია მისადაგებული. გრაგნილი ბრუნავს, კალამი წერს. არა, კი არ წერს, უფრო ხატავს! ხატავს ზღვის ფსკერს, წყალქვეშა მთებსა და ხეობებს, ამოზიდულ მწვერვალებს, ციცაბოებს, თვალჩაუწვდენ ჯურღმულებს და, რაც მთავარია თევზის დიდ ქარავნებს ადევნებს „თვალს“. სვიას, ქაშაყის, სტავრიდულას, ქაფშიას თავშეყრის ადგილები ფირზე უამრავი ტირეებითა და წერტილებით აღინიშნება. ხელსაწყო იმასაც ზომავს რა სიღრმეზე იმყოფება დასაჭერი თევზი.

ისაკი, ამირანი და ვაჟა თვალს არ აშორებენ ექოლოტს, რომელიც იქვე, საჭესთან დგას. შუაღამე გადავიდა, სეინერი გრიალით მიიწევს წინ. ძლიერი შუქით განათებული სავალი გზა ხან რძისფერია, ხან შაბიამნისფერი, თავად ზღვა კი ყურუმ სიბნელეში გმინავს, წყალი კუპრივით შავია და ამართლებს თავის სახელწოდებას: შავი ზღვა! თვალჩაუწვდენ ჯურღმულებში უკუნი ჩაწოლილა, მაგრამ ექოლოტი შეუფერხებლივ გზავნის შიგნით თავის „მზვერავებს“ და ექოთი მაშინვე ღებულობს ამომწურავ პასუხს. ვერა, ვერაფერს დაგვიმალავს გულჩახვეული უფსკრული! ჩვენ, როგორც სარკეში, ისე ვხედავთ ყველაფერს. ისაკისა და ამირანის თვალები ნაკვერცხლებივით კვესავენ. ესენი, ამ საჭესთან და ბადესთან გაჭაღარავებულნი, ჩემზე უფრო მეტს ხედავენ და ამჩნევენ.

აჰა, აირია წერტილები. ფირზე ხაზები მომრავლდა, ბოლოს სულ გაშავდა.. ალბათ ეს ქარავანია, თვითმფრინავმა რომ შენიშნა! არის, მონახულია! ვეღარსად გაგვექცევა!..

სხვათაშორის, გაქცევაზე სულაც არ ფიქრობენ, მყუდროდ ჩაბანაკებულან, ფიქრადაც არ მოსდით, რა ხიფათიც მოელით ახლა.

— სდექ! — გაისმის კაპიტნის ძახილი და იმავ წუთს წყდება მანქანის გუგუნი, რომ თევზი არ დაფრთხეს.

სეინერზე მზადა აქვთ კაპრონის უშველებელი ბადე, რომლის წონა ოთხ ტონამდეა. მისი სიგრძე კილომეტრამდე აღწევს, ხოლო განი ასი მეტრი აქვს. იმ ბადეს ცალ მხარეზე რკინის რგოლები აქვს ჩატანებული, რომლებშიც ფოლადის თოკია გაყრილი. საპირისპირო მხარეზე ტივტივებია მიბმული.

— მოემზადეთ ბადის ჩასაგდებად! — სეინერი ნელა დაიძრა ადგილიდან და მაშინვე გაისმა კაპრონის ყრუ შრიალი და რკინის რგოლების ჩხაკუნი... კილომეტრიანი წრე შემოვხაზეთ ასე. ახლა ბადე კედელივით დგას, წრისებურად, როგორც უშველებელი ცილინდრი, შიგ გამომწყვდეული თევზია.

— მოსწიეთ თოკი! — ისმის კაპიტნის ძახილი.

აბა, კაი ბიჭი ხარ და სცადე, კილომეტრიანი ტროსის მოწევა, როცა ბადეში ათეული ტონობით თევზია გამოჭერილი! ხელით ამ სამუშაოს შესრულება შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში იმდენი მეთევზე იქნება საჭირო, რომ სეინერზე კი არა, დიდ გემზეც ვერ დასტევ. ყველაფერ ამას კი სულ ადვილად აკეთებს მანქანა. ნელა იხვევა ჯალამბარზე ტროსი, რკინის რგოლები წყლიდან ამოაქვს, მეთევზეები მას მაშინვე თავის ადგილზე მწყობრად ალაგებენ. და ჰა, თოკი მოწეულია, ბადის ქვედა ნაწილი შეკრულია, გასაქცევი გზა მოჭრილია, ნადავლი ხელთა გვაქვს!

## დიდი ტვირთი

მე ვხედავ, როგორ ფართქალებს თოვლივით თეთრი ქაფშია ბადეში. ისინი ერთმანეთს აწყდებიან, წრიალებენ, იკლაკნებიან, დახტომას



თევზის კომბინატში ეს-ესაა კეფალი ჩააბარეს.

ლამობენ, მაგრამ ბადე ნელ-ნელა იკუმშება, ადგილი თანდათან ვიწროვდება და თევზი გასაქანს ვერ პოულობს.

რამდენი ტონა ქაფშია იქნება, პატივცემულო ისაკ, დაჭერილი?

— ბადე ჯერ ისევ წყალშია და თევზის ტევა აღარ არის. მე მგონი სამოც ტონაზე ნაკლები მაინც არ იქნება.

— რას მეუბნებით?!

— წინათ ამდენს ერთი წლის განმავლობაში ძლივს დავაგროვებდით, ახლა ბადის ერთი მოსმით ზოგჯერ ოთხმოც ტონასაც ვიჭერთ ხოლმე. ეს სეინერისთვის დიდი ტვირთია. ტრიუმში ორმოცდაათი ტონა ეტევა, დანარჩენი ბადეშივე უნდა გავაჩეროთ, სანამ დამხმარე გემს გამოვუძახებ...

— მაშ, ხშირად თქვენ იჭერთ იმდენს, რისი წაღებაც გიჭირთ?

— მგონი, დღესაც ეგრე იქნება.

— მაშ, კარგად ყოფილა საქმე!

— ჩინებულად!

აჰა, უკვე მჭიდროდ შემოეჭდო თევზს ბადე...

— ჩართეთ ტუმბო! — გაისმა ახალი ძახილი... რეზინის განიერი მილი სწრაფად ჩაუშვეს ბადეში, ისევ ამუშავდა ძრავა, დაიწყო თევზის ტრიუმში გადმოყრა. წყალი განზე იღვრება, აფართქალებული თევზი კი უწყვეტ ნაკადად მიედინება გემის მუცელში... მალე ტრიუმი ამოივსო... ეს ორმოცდაათი ტონაა...

— ბადეში კიდევ არის ცოტა! — მეუბნება სახეგაბრწყინებული ისაკი.

— მე უკვე არ ვიცი, თქვენებურად რას ნიშნავს ეს ცოტა!

— ასე, ათიოდე ტონა კიდევ იქნება.

— ათი ტონა ცოტაა? — მიკვირს მე, — ამ თევზს რაღას ვუზამთ ახლა, დამხმარე გემს დავუძახებთ?

— არა, არ ღირს, ამას გემბანზე დავყრით. ზღვა მშვიდია, როგორმე გავიტანთ ნაპირზე!

...გემბანიც გადათეთრდა, ყველგან თევზი ფართქალებს და ხტის... მე მუჭში მოვიმწყვდიე რამდენიმე. სრიალა და ტანტალა ქაფშია ხელიდან მისხლტება. ისევ ვიჭერ და სიხარულით ცას ვეწევი.

— ყოველთვის ასეთი ნადავლი



როდია, ხშირად ხელცარიელი ვბრუნდებით ხოლმე უკან, მთელი ღამის შფოთვარე მუშაობით მოქანცულნი. — მეუბნება ამირან ქაროსანიძე.

— საერთოდ შავი ზღვა ღარიბია თევზით. — კვერს უკრავს ვაჟა.

... ცხელ ვახშამს შემოვუსხედით დასველებულნი, დაღლილნი და მოქანცულნი. ახალი თევზის გემრიელი წვნიანი კერძით ვერ ვძღებით. ეს ნოყიერი საკვები მოგვაქვს მშრომელთა სუფრისათვის, მუშათა სასადილოებისათვის... მოგვაქვს და მოგვიხარია!

— თევზი იყოს, თორემ დაჭერას შევძლებთ! — ამაყად მეუბნება ისაკი და ხარბად აბოლებს პაპიროსს. — ქაფშია რა ბედენაა, უმთავრესად დასაკონსერვებლად მიდის ხოლმე, შენ სტავრიდულა, ქამბალა, სკუმბრია, კეფალი და სხვა უფრო გემრიელი თევზი იკითხე... ისიც გახსოვდეს, ხუთი სეინერი გვყავს, დღეში სამ-სამჯერ შეუძლიათ ზღვაში ბადის ჩაყრა. ხუთწლიანი გეგმა ხომ ჯერ კიდევ 1969 წლის გაზაფხულზე შევასრულეთ და ახლა 1971 წლის ანგარიშით ვმუშაობთ. სოხუმელებს საქართველოს სხვა მეთევზეთა კოლმეურნეობებს შორის ყველაზე დიდი გეგმა გვაქვს, მარტო წელს ოთხი ათას ხუთასი ტონა თევზი დავიჭირეთ და მომავალში უკან არ დავიხევთ...

... ისაკი ძლიერ კმაყოფილია. კმაყოფილია ვაჟა, ამირანიც, კარგ გუნებაზე არიან დანარჩენებიც: უფროსი მექანიკოსი და მისი მოადგილე, რადისტი, მეთევზეები... მართლაც, მშვენივრად გაუმართავთ სეინერი სოხუმელ შემკეთებლებს. „ს ჩ ს-58“ უყოყმანოდ შეიძლება შორეულ რეისზე გაიგზავნოს, ყირიმის სანაპიროსკენ ან ქერჩში. ყველაფერი რიგზეა, ბრწყინავს და კრიალებს.

უკან ვბრუნდებით. სადაცაა გათენდება!..

სადღაც, შორს, შუქურა აკიაფდა და სიხარულით აგვავსო. ეს ჩვენი ნავსადგურია, შორიდან გვესალმება! ჰა, თითქოს წყლიდან ამოტივტივდა სანაპიროს ლამპიონების მწკრივიც. შუქურა ინთება, ბრიალებს და, ქრება, მერე ისევ ინთება. ჩვენ მის ციმციმს თვალს არ ვაშორებთ, მოვდივართ დაღლილ-დაქანცულნი, მაგრამ მხნედ, მხიარულად, ნადავლით დატვირთულნი.



## კონსტანტინე ლომია

ჩვენ ყველას გვძინავს დიდი ხანია...
ცარიელ ეზოს დარაჯობს მთვარე,
და ცას წყნარსა და ლოყახალიანს
ქარი უხუჭავს ოქროსფერ თვალებს.

ჩვენ ყველას გვძინავს და სიზმრებს
ვხედავთ...
უცებ სიჩუმეს შეაკრთობს ჩქამი,
დედას არ სძინავს, არ სძინავს დედას,
დგას შუაღამის ფერმკრთალი ქამი.

დილით ვიღვიძებთ, ღია კარიდან
დედას ბილიკზე მიმავალს ვხედავთ,
ნეტავი საით მიეჩქარება,
ნუთუ არასდროს არ სძინავს დედას?...

თარგმნა თამაზ ჭილაძემ.

## შალვა სანგულია

### სიმღერა მშობლიურ მხარეზე

დავიკაპიწოთ მკლავები,
დავიკარწახოთ შარვლები,
სირცხვილი იმას,
ვინც გარბის
ძმათაგან გან და გან!..
რა ჰაერია,
რა ცაა,
შუადღე მოვა საცაა, —
შრომის გუგუნი ედება
მშობლიურ მთას და ბარს!..

გეყოფათ ჩრდილის კარავი,
წუთით არ მოცდეს არავინ,
რომ შეგიყვაროს სამშობლომ,
ვით დედამ —
ღვიძლი შვილები;
ცა მოწმენდილა კეთილად,
ღრუბლები გადარეკილან,
არწივნი, დაბოინობენ,
ლაღნი და ფრთაგაშლილები.

ო, მშობლიურო მიწაო,
შენს გარდა სხვა რა ვიწამოთ,
შენი შვილების გულები
შენს სიყვარულში ძგერს;
გაქვს ხალხთა ძმობა ადათად,
მშვენიერდები თანდათან,
ვერვინ დაგჩაგრავს ვეროდეს
დიდი ოჯახის წევრს!..

ხასხასებს ნახნავ-ნათესი,
გარემო ბრწყინავს ნათელში —
თითქო მზე თავზე დაგნათის
ერთი კი არა — ასი!..
სიმღერით სუნთქავს ყოველი,
ხარობს და ლაღობს მშრომელი, —
ტყუილად როდი დაგარქვით
შვების ქვეყანა — აფსნი!

თარგმნა გივი ძნელაძემ.

## ტერენტი ჯანია

### ჰანგი ძველი, აფხაზური

როცა ღამეს, უნარნარესს,
მდუმარება ახლავს სრული, —
ყრმას აკვანში უნანავებს
ტკბილი ჰანგი აფხაზური.

როს, ნაომარს ვერაგ მტერთან,
მკერდი ჰქონდა დახანჯლული, —
ვაჟკაცს წყლულებს უმრთელებდა
ჰანგი მძლავრი, აფხაზური.

,,ო უარადა, რადა გუშა''
აღანთებდა კაცსაც — ჯაბანს,
ოფლს მოსწმენდდა ყანის მუშას,
ავიწყებდა მძიმე ჯაფას.

,,ო უარადა'' — გულის ძგერად
დარჩეული მთიდან მთამდე, —
ჩემი ხალხის ეს სიმღერა
აბა, როგორ არ მიყვარდეს!

,,ო უარადა'' — ჰანგი ძველი —
აფხაზს ახლაც სულ თან ახლავს,
დავიწყება მას არ ელის,
მრავალ ას წელს გადალახავს.

თარგმნა სიმონ ჩიქოვანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პლანტაციიდან პარლამენტამდე

ბედნიერი ადამიანის ცხოვრება ცისარტყელასა ჰგავს — ფერებითა და სილამაზით არის სავსე, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ცისარტყელა წუთიერად დაეკიდება ცას, ისიც — წვიმის შემდეგ, ცხოვრებას, ბედნიერებას კი დასასრული არა აქვს, უკიდეგანო და უსაზღვროა.

მედეა ბარათაშვილსაც ჰქონდა ცხოვრების წვიმიანი დღეები...

სამი შვილი ობლობაში გაუზრდია, მაგრამ არ უყვარს გასაჭირზე ლაპარაკი...

მართალი გითხრათ, ყოველთვის მოფუსფუსეს, ყოველთვის საქმიანს, ყოველთვის აჩქარებულს დროც არ რჩება საამისოდ.

სოფელში, აბა, ქალს საქმეს რა გამოულევს, მით უმეტეს, ქალს — დიასახლისს, ქალს — კოლმეურნეს, ქალს — კომუნისტს, ქალს — სახელმწიფო პარლამენტის წევრს.

მედეა ბარათაშვილი, სოხუმის რაიონის სოფელ აბჟაყვის კოლმეურნეობის მოწინავე მეთამბაქოე, 1967 წელს უკვე მესამედ აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

თითქმის ოცი წელია, რაც მედეა თამბაქოს უვლის — მეტად მიზეზიან კულტურას.

დიახ, მიზეზიანს, — ეს პერინოსპოროზიო, ეს გვალვებიო, ეს ზედმეტი წვიმებიო, სულ ცოტა რამ და, შეიძლება მთელი წლის შრომა წყალში ჩაიყაროს.

მაგრამ მედეა ჩასწვდა თამბაქოს კულტურის მოვლის საიდუმლოებას. ეს საიდუმლოება კი ის არის, რომ გულდაგულ მოამზადო სანერგე მეურნეობა, გამოიყვანო ჯანსაღი ჩითილები, დროზე გათოხნო, გადამწიფებამდე შეტეხო ფოთოლი, გააშრო და დააბარდანო. ესე იგი ზედმიწევნით უნდა დაიცვა ყველა აგროწესი. ასე იღებს მედეა ყოველ წელიწადს სარეკორდო მოსავალს.

ოცი წლის განმავლობაში მას ორ ათეულ ტონაზე მეტი ნედლეული აქვს ჩაბარებული თამბაქოს საფერმენტაციო კომბინატისათვის.

ოცი ტონა! თუმცა ციფრები ვერასოდეს მოგვცემენ სრულ წარმოდგენას მედეას მიერ გაწეულ შრომაზე, საკმარისია ერთხელ მაინც ნახოთ იგი თამბაქოს ამწვანებულ პლანტაციაში, თავისი რგოლის წევრებს შორის, და მაშინვე მიხვდებით, თუ როგორ აღწევს იგი ესოდენ წარმატებებს, რატომ უყვართ იგი ასე თანასოფლელებს, კოლმეურნეებს, რაიონის მესვეურთ მუდამ მუხლჩაუხრელი და გაღიმებული.

მედეა ბარათაშვილზე ხშირად იტყვიან ხოლმე — ოქროს გული აქვსო.



მედეა ბარათაშვილი.

ასეთი გულის პატრონს მხოლოდ სიკეთე შეუძლია.

— მედეა, სახლის საშენი მასალის შოვნაში დამეხმარე.

— მედეა, იქნებ წამალი მიშოვნო.

— მედეა, მინისტრთა საბჭოში გამყევი, თხოვნა მაქვს...

და მედეაც ყველას ეხმარება, ყველას აძლევს რჩევა-დარიგებას.

ყველამ იცის, რომ იგი შეუძლებელს შეძლებს, გაუჩენელს გააჩენს...

ქალი — ვაჟკაცი! — ასე ეძახიან აბჟაყველები სახელგანთქმულ მეთამბაქოეს, ლენინის ორდენოსანს, მთელი სოფლის ქომაგს მედეა ბარათაშვილს.

ის იყო, უნდა გამოვემშვიდობებოდით, რომ ფოსტალიონმა წერილი მოუტანა.

— მედიკო, დავითის წერილია, მაღარიჩი შენზე იყოს. — ღიმილით გადასცა წერილი ფოსტალიონმა.

შვილი სწერდა დედას წერილს. დავითმა ორიოდე წლის წინათ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა, პირველი ხარისხის დიპლომი მიიღო და ახლა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში მსახურობს.

მედეამ მთრთოლვარე ხელით გამოართვა ფოსტალიონს წერილი და აჩქარებით გახსნა.

შევყურებდით მის ათრთოლებულ ხელს, თმაში შეპარულ ჭაღარას, ვგრძნობდით რაღაც კარგს, ნათელს, ვგრძნობდით, რომ თმის სითეთრე ყოველთვის არ ნიშნავს სიბერეს, ვგრძნობდით, რომ მის ჭაღარას, მის სითეთრეს აქვს რაღაც საერთო ადრე, ძალიან ადრე მოსულ თოვლთან — იმ ღამეებთან, ავადმყოფის სასთუმალთან რომ უთევია, იმ გზებთან, ავადმყოფისათვის წამლის, მეზობლისათვის — საშენი მასალის საშოვნელად, მწუხარესათვის ნუგეშის საცემად რომ გაიარა. ეს ის გზებია, პლანტაციიდან-პარლამენტამდე რომ განვლო კეთილმა ქალმა.

ჯ. ჯანელიძე.

ფოტო მ. ტარასოვისა.

სოხუმის 1-ლ სკოლა-ინტერნატში, საგნობრივი და სხვა წრეების გვერდით, რამდენიმე წელია ხატვის შემსწავლელთა წრეც არსებობს. ამ წრემ ბევრი ნიჭიერი, ნორჩი მხატვარი გამოავლინა. გთავაზობთ სკოლა-ინტერნატის მეექვსე კლასის მოსწავლეთა ნახატებს. ამ ნამუშევრებმა გაიმარჯვეს რესპუბლიკურ კონკურსში „მე ვხედავ სამყაროს“.

# მამალი და მელა

ერთ დილას მელა ტყეში მიდიოდა. უცებ შორიდან მამლის ხმა მოესმა. მელა მაშინვე იქით გაეშურა და მალე მივიდა იმ ადგილას, სადაც მამალი ხეზე იჯდა. მამალმა მელა რომ დაინახა, გაიფიქრა: სანამ ეს ეშმაკი არ წავა, ერთი თვეც რომ გავიდეს, ძირს მაინც არ ჩავფრინდებიო. მერე ფრთები გაშალა და დაიყივლა.

— გამარჯობა! — უთხრა მელამ, — შენი ხმა გავიგონე და სულ სირბილით მოვედი აქ. რა კარგად მღერი! მეც მასწავლე მღერა. ჩამოდი ძირს.

— სტყუი, გენაცვალე, მე არ ვმღერი. სადილი უნდა მომიტანონ, დაიგვიანეს და ვეძახი, — მიუგო მამალმა.

— სადილს ალბათ შენი დები და ძმები მოგიტანენ, ხომ?

— არა, მურა და ალმი მომიტანენ.

— ჰო, მეც უნდა წავიდე, თორემ ჩემი სადილიც გაცივდება! — ჩაილუღლუღა მელამ და, იმის შიშით, ძაღლებმა არ მომისწრონო, დაბურულ ტყეში მიიმალა.

ალექსი ჯინჯოლია,
ი. კოლონიას სახელობის კუტოლის საშუალო სკოლის მოსწავლე.



კრეისერი „ავრორა“ ომიკ ამიჭბა.



მიდიოდნენ კომკავშირელები სამოქალაქო ბრძოლებში. რაულ წვიჯბა.



საქათმე. რუსლან ხოგლია.

# მოხუცი და ზღვა

ზღვა, ქვიშა, მზე, მოხუცი, ძაღლი განუყრელი მეგობრები არიან. ყოველდღე, თავის პატარა მეგობარ ძაღლთან ერთად, მოხუცი სანაპიროზე მოდის, ცხელ ქვიშაზე გაზეთს დაიფენს და გასცქერის ზღვას — ამ უსასრულო სივრცეს.

მისი დანაოჭებული სახე, მოღუშული შუბლი, გაჭაღარავებული თმა, მოკუნტული სხეული, დაღარული ხელები სიბერის მაჩვენებელია, მაგრამ თვალები და გული ახალგაზრდული შემორჩენია ბერიკაცს.

იგი გასცქერის ზღვას, რომელიც ბევრს, ძალიან ბევრს აგონებს და მისი ნაცრისფერი თვალები ზოგჯერ ნაპერწკლებივით ინთებიან.

ზღვა! რამდენი მშფოთვარე ღამე გაუტარებია მას ზღვაზე, მტრის მოლოდინში, რამდენი ჭურვი თუ ნაღმი ასცდენია, რამდენი ჭრილობა მიუღია და რამდენი საუკეთესო ამხანაგი დაუკარგავს იქ, შორს, ზღვაში.

ახლაც თვალწინ უდგას გემი, მტრის ნაღმისაგან აფეთქებული ფსკერზე რომ ეშვებოდა და თან ნთქავდა მებრძოლებსა და თანამოძმეებს.

თვალები, კეთილი, ნაცრისფერი თვალები უსველდება და კურცხლები სახის ღარებში მიედინება.

მოხუცის მეგობარი ცუგა თითქო ამშვიდებს პატრონს — ჰყეფს, ხელებს ულოკავს, ცდილობს ნუგეში სცეს.

ბერიკაციც გამოერკვევა ხოლმე და თავზე ხელს გადაუსვამს ჭკვიან ცხოველს, ეფერება. ეს მხოლოდ რამდენიმე წუთს გრძელდება. მერე კვლავ წარსული, კვლავ ტყვიამფრქვევის კაკანი, ტყვიის ზუზუნი, ნაღმის აფეთქების ხმა, კვლავ კვნესა დაჭრილთა და მომაკვდავთა... ომის მთელი საშინელება თვალწინ წარმოუდგება მოხუცს.

აი, მზე ჩაესვენა. მოხუცი დგება, მიაბიჯებს და ქვიშას ხრაშახრუში გააქვს მის ფეხქვეშ.

ზღვა კი ლივლივებს, თითქოს ბერიკაცს ემშვიდობებაო, არა, სამუდამოდ კი არა. მოხუცი ხვალაც მოვა, ზეგაც და ასე გაგრძელდება დიდხანს, დიდხანს.

ხათუნა ჟურღულია,
სოხუმის შოთა რუსთაველის სახ. 1-ლი საშ. სკოლის IX კლ. მოსწავლე.



წითელი კიარაზოველები. ოლეგ ჰაგბა.



ჩვენი სოფელი. რუსლან ხოგლია



სამშობლოსათვის

რაულ წვიჯბა.



ზაფხული.

ალექსი ნანბია









თვალსა და გულს ახარებს ჩაის ზურმუხტოვანი პლანტაციები, ციტრუსების ოქროსფერი ბაღები. შესანიშნავ პროდუქციას იძლევიან ხილის საკონსერვო საწარმოები... ყოველივე ეს აფხაზეთის მშრომელთა დაუღალავი შრომის ნაყოფია, საბჭოთა ხელისუფლების ყოველდღიური ზრუნვის შედეგია. სწორედ გმირულმა გარჯამ, სოციალისტურმა შრომამ მოუტანა მზიური აფხაზეთის მკვიდრთ ბედნიერი ცხოვრება და საყოველთაო დიდება.

აფხაზეთი იმითაც არის საქვეყნოდ ცნობილი, რომ აქ ცხოვრობს არაერთი ადამიანი, რომელთა ასაკმაც საუკუნეს გადააბიჯა. მარჯვნივ მოთავსებულ ფოტოსურათზე აღბეჭდილია ერთ-ერთი მათგანი—ოჩამჩირის რაიონის სოფელ კუტოლში მცხოვრები მეჩაიე ქალი ხიფაფ ლასურია, თავის ვაჟიშვილთან ერთად. ხიფაფი ამჟამად 180 წლისაა და კვლავ ნაყოფიერად შრომობს საკოლმეურნეო პლანტაციებში.



# პიონერული მარში

მუსიკა კ. ჩენგელისა. ტექსტი ტ. შანიასი.




სახეს ლიმი გვიცისკროვნებს,
ყელსახვევი წითლად ელავს,
ლენინის მზემ მოგვიქარგა
ნეტარების ცისარტყელა.

მისამღერი:

მზემ ნათელი სხივები
გულში უხვად ჩაღვარა,
გვიხმობს დიად მიზნისკენ
ჩვენ ბუკი და ნაღარა.

აფხაზეთის ნორჩ თაობას
სამშობლოსთვის გული გვიცემს,
მივაბიჯებთ დარაზმულნი,
მეგობრობა ვიცით მტკიცე.

მისამღერი:

არ გვაშინებს სიძნელე,
სწავლაც ვიცით, შენებაც,
ვართ მომავლის იმედი
და სამშობლოს მშვენება.

თარგმნა შ. ამირანაშვილმა.



სოხუმის მთისკენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რავდა — მეგობრობის ბანაკი

1970 წლის 9 ივნისი... ეს დღე არასოდეს დამავიწყდება, არ დაავიწყდებათ ალბათ ჩვენი დელეგაციის სხვა წევრებსაც: მოსკოველ ნატაშა გოლუბევას, გორკელ იური ფილიპოვს, ბელორუს საშა სავანეცს. იმ დღეს მოსკოვ — სოფიის მატარებლით პირველად გადავკვეთეთ საბჭოთა ქვეყნის საზღვარი. ჩვენს დელეგაციას ხელმძღვანელობდა უმაღლესი კომკავშირული სკოლის ასპირანტი, საოცრად გულთბილი ქალი გალინა მიხეილის ასული პოპოვა.

უკვე ბინდდებოდა, სოფიაში რომ ჩავედით. დავბინავდით თუ არა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სკოლის შენობაში, მაშინვე ქალაქის დასათვალიერებლად გამოვედით. გული გვწყდებოდა, რომ დღე ვერ ვნახეთ სოფია, მაგრამ დაგვამშვიდეს, გამომგზავრებისას მთელი დღე სოფიაში იქნებით და მისი დათვალიერების საშუალებაც გექნებათო. ძალიან ლამაზია სოფია ღამით. ათასფერი რეკლამები, გაბრდღვიალებული სახლები და ქუჩები! მაგრამ ყველაზე მეტად „ალექსანდრე ნეველის" ტაძარმა მომხიბლა. ყოველი მხრიდან განათებული ტაძარი ცეცხლოვანი გუმბათივით ამოსულა ქალაქის შუაგულში. იგი ბულგარელმა ხალხმა ააგო მტერზე გამარჯვების აღსანიშნავად და რუსი ხალხის პატივსაცემად. ბულგარეთში მრავლად არის ძეგლები, რომლებიც რუსი და ბულგარელი, საერთოდ, საბჭოთა და ბულგარელი ხალხების მეგობრობას გამოხატავს. ქალაქში აღმართულია საბჭოთა არმიის ობელისკი; სოფიის მთავარ ქუჩას „რუსული ბულვარი" ჰქვია. ამ მეგობრობაზე მარტო ქვები როდი ღაღადებენ. ბულგარელებს ღრმად სწამთ, რომ „თუ გინდა გყავდეს ყველაზე ძლიერი და ყველაზე ერთგული მეგობარი, უნდა იმეგობრო საბჭოთა ხალხთან".

მეორე დღეს, დილით ადრე, ბურგასში გავემგზავრეთ მატარებლით, ბურგასიდან სოფელ რავდამდე, სადაც ჩვენი ბანაკი იყო, მანქანებით ჩავედით.

სოფელი რავდა შავი ზღვის სანაპიროზეა, ჩვენი ბანაკის შენობები კი პირდაპირ ზღვას გადაჰყურებდა. ძალიან ლამაზი ადგილია.

ჩვენი ბანაკი ლილიანა დიმიტროვას სახელობის საერთაშორისო კომკავშირული სკოლის ბანაკი იყო. ძირითადად აქ ბულგარელი ახალგაზრდები, სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციის მდივნები იყვნენ. ისვენებდნენ და თან კომკავშირულ მუშაობას სწავლობდნენ. მათ გარდა იყვნენ აგრეთვე პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის, უნგრეთის სამ-სამკაციანი დელეგაციებიც.

ბანაკს ჰყავდა თავისი ცენტრალური კომიტეტი, რომლის ყველა წინადადებასა და მოთხოვნას დაუყოვნებლივ ითვალისწინებდა დირექცია. მთელი ბანაკი 6 რაზმისაგან შედგებოდა. საბჭოთა დელეგაცია მეოთხე რაზმში მოხვდა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ ჩვენ მარტო მეოთხე რაზმის კომკავშირელებთან ვმეგობრობდით. არა! ვცდილობდით, რაც შეიძლება მეგობართა ფართო წრე შემოგვეკრიბა ირგვლივ და, რაც შეიძლება მეტად დავახლოვებოდით ბულგარელ თანატოლებს, რათა უფრო ფართოდ გაგვეზიარებინა ერთმანეთისათვის გამოცდილებები. ჩვენს მეგობრულ ურთიერთობას ხელს ისიც უწყობდა, რომ ყოველი ბულგარელი ახალგაზრდა მეტ-ნაკლებად ფლობს რუსულ ენას.

ბულგარეთის კომკავშირის მუშაობაში განსაკუთრებით საყურადღებოა ბრიგადული მოძრაობა. ბულგარეთში შექმნილია 9 ნაციონალური და 260 ადგილობრივი ბრიგადა, რომელთაც აქვთ საკუთარი ჰიმნი, რიტუალი, სიმღერები, ფორმა. მათი დევიზია: „ვაშენებთ სამშობლოსათვის!" აქვთ ლოზუნგიც: „ჩვენ ვაშენებთ გზას, გზა კი გვაშენებს ჩვენ".

ბულგარეთში 800 საშუალო სკოლაა და 8000 კომკავშირის კომიტეტის წევრი ჰყავთ. ამათგან ყოველ ზაფხულს 4 ბანაკ-სკოლაში 4000 კომიტეტის მდივანი და წევრი იგზავნება.

საოლქო ორგანიზაციები ქმნიან თავიანთ სკოლა-ბანაკებს, სადაც კლასბიუროს მდივნები და კლასბიუროს წევრები სწავლობენ.

ჩვენს ბანაკში ხშირად ეწყობოდა ექსკურსიები. დავათვალიერეთ „მზიური ნაპირი", ნესებრი, ბურგასი, ზიზოპო, მდინარე როპოტამოს ნაპირები.

ძალზე საინტერესო და სასარგებლო იყო ჩვენს მიერ მოსმენილი ლექციები, სემინარები. საერთოდ, თეორიული სწავლება მაღალ დონეზე ტარდებოდა.

დიდად დაგვაინტერესა დისკუსიებმა: „ყველაზე საინტერესო რამ ჩემს სკოლაში" და „თანამედროვე მოსწავლის ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში". პირველ დისკუსიაში მეც ვმონაწილეობდი. ვილაპარაკე ჩვენი სკოლის კომკავშირული ორგანიზაციისა და ნატანების კოლმეურნეობის მეგობრობაზე.

25 ივლისს ჩატარდა „მეგობრობის კონცერტი". საბჭოთა დელეგაცია ყველაზე ბოლოს გამოდიოდა, ჩემი ნომრით კი იხურებოდა კონცერტი. მე იმ საღამოს „ქართული" ვიცეკვე. ჩემი შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოვიყენე, რომ, რაც შეიძლება კარგი შთაბეჭდილება დამეტოვებინა.

ქართული ცეკვის შესწავლის მსურველები მაშინვე აღმოჩნდნენ. ქართულ კაბაში გამოწყობილმა მობანაკეთა უმრავლესობამ სამახსოვროდ სურათი გადაიღო.

28 ივლისს დავტოვეთ ბანაკი. გაცილების წინ ბანაკის დირექციამ ჩვენი დელეგაცია რესტორან „ხანსკა-შატრაში" მიიწვია. „ხანსკა-შატრა" მთელ სანაპიროს დაჰყურებს და მაყურებლის თვალწინ ბრწყინვალე პეიზაჟი იშლება.

29 ივლისს უკვე სოფიაში ვიყავით. ბულგარელმა მეგობრებმა დანაპირები შეგვისრულეს — მთელი სოფია მოგვატარეს. დავათვალიერეთ „ალექსანდრე ნეველის" ტაძარი, ვიყავით გ. დიმიტროვის მავზოლეუმში. საღამოს ავედით „ვიტოშაზე", შეხვედრა მოგვიწყეს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში.

მეორე დღეს კი მატარებელი საყვარელ სამშობლოსაკენ მოგვაქროლებდა.

**მზია შეჭირული,**
ქ. მახარაძის მე-2 საშუალო სკოლის
X კლასის მოსწავლე.

# პროფესორ მესხის საიდუმლოება

გურამ ხარაიძე

მხატვარი ზურაბ ფორჩხიძე.

ფანტასტიკური მოთხრობა

სამი კვირის წინათ ფეხი მოვიტეხე. პირველ ხანებში მიჭირდა საავადმყოფოში წოლა და უამრავ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. ყველას ერთი და იგივე აინტერესებდა: როგორ მოვხვდი გამოქვაბულში, რა შემემთხვა, როგორ დავაღწიე თავი საშინელ ხაროს...

ფეხი უკვე ისე ძალიან აღარ მტკივა. პირველად სიმწრისაგან გოგოსავით ვღრიალებდი. მართალი გითხრათ, მაინცდამაინც არ მრცხვენოდა.

ექიმმა დამამშვიდა — ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება, არ იკოჭლებო. ისე, ჩვენში დარჩეს და, ოდნავ რომ დავკოჭლდე, კარგი იქნება: ქუჩაში რომ ყავარჯნით გავივლი, მთელი ხალხი მე მომაშტერდება — ნეტავ, ვინ არის, რა შეემთხვა ამისთანა, რომ დაკოჭლებულაო! ვისაც ჩემი თავგადასავალი გაუგონია, შურით დამიწყებს მზერას — „ის არის, აგერ ის, კოჭლობით რომ მოდის! იცით, მაგას რა უცნაური ამბავი შეემთხვა?“ და მოჰყვებიან ტყუილსა და მართალს.

ყოველდღე ჩვენი კლასის გოგო-ბიჭები ჩემს სანახავად მოდიან. გასულ კვირას ჩვენი სკოლის დირექტორმაც მინახულა. გულახდილად გეტყვით, ისე შემეშინდა მისი დანახვისა, რომ საწოლქვეშ მომინდა დამალვა, მაგრამ თაბაშირში ჩასმული ფეხი ადგილიდან ვერ დავძარი. შიში უმალ გაქრა, როცა დირექტორმა თავზე ხელი გადამისვა და მითხრა: ნუ იდარდებ, მალე დაეწევი ამხანაგებსო.

ყველაზე უფრო შაბათის მოახლოება მიხარია. შაბათობით მცხეთიდან გია ბესელაშვილი ჩამოდის.

გია ბესელაშვილი ჩემი ნათესავია. მამამისი მცხეთაში მუშაობს და გიაც რამდენიმე წელია იქ ცხოვრობს. ზაფხულის არდადეგებზე კი გვეწვევა ხოლმე და ათი-თხუთმეტი დღე ერთად ვართ თბილისში. დავდივართ კინოში, ფუნიკულორზე, მუზეუმებში. დროის მეტ ნაწილს კი ჩვენს ეზოში ფეხბურთის ან ყაჩაღობანას თამაშს ვანდომებთ.

გიას სტუმრობის დრო მალე იწურება — მცხეთიდან მამამისი, ბიძია ამირანი ჩამოდის ხოლმე და ორივე მცხეთაში მივყავართ.

გია ამ ზაფხულსაც გვეწვია. მე შინ არ ვიყავი, სკოლაში ჩიტებს წავუღე საკენკი. მართალია, არდადეგები დაიწყო, მაგრამ მე და რამდენიმე ჩემი თანაკლასელი ყოველდღე დავდივართ სკოლაში და ჩვენს „ზოოპარკს“ ვუვლით. ბოტანიკის ოთახში ოცამდე ჩიტი, ორი კუ, ზღაპარი, ოთხი ბაყაყი და უამრავი ოქროსფერი თევზი გვყავს.

ჰოდა, შინ სადილობის დროს დავბრუნდი. ეზოში შევედი თუ არა, გაკბეჩილი ვაშლი მომხვდა თავში. მაინცდამაინც არ მტკენია, მაგრამ მაინც ვიყვირე:

— ეი, რომელია თავს რომ იგდებს? — და ჩემი მეზობლის, ლია ბუთხუზის ფანჯრებს ავხედე. ავიხედე თუ არა, თავზე ვიღაცამ წყალი გადმომასხა. მაშინ კი მივხვდი, რომ გია ჩამოსულიყო და კიბე სწრაფად ავირბინე.

აბა სადილისათვის ვიღას სცალოდა! დავავლეთ ბურთს ხელი და ეზოში ჩავცვივდით. მთელი კვირის მანძილზე რა თამაში არ მოვიგონეთ, სად არ ვიყავით, რა არ ვნახეთ.

ერთხელ გიამ შემომთავაზა — სხვენზე ავიდეთ, ბაბუაშენის ნაქონი დურბინდი ავიტანოთ და ქალაქი დავათვალიეროთო. სულ მალე უკვე სხვენზე ვიყავით.

სხვენს ბებიაჩემი საკუჭნაოდ იყენებს ხოლმე და მის გასაღებს საგანგებოდ მალავს, გეგონება, დიდი განძი ინახებოდეს ამ პატარა ოთახში. ამიტომ მე და გია სხვენზე გატეხილი სარკმლიდან შევძვერით.

მზიანი, ცხელი დღე იყო. აქ კი, სხვენზე, თითქმის ბნელოდა.

მე და გიამ რიგრიგობით ვათვალიერეთ ქალაქი. ხან ფუნიკულორზე აღმოვჩნდით, ხან ცირკის შესასვლელთან დავსკუპდით, ხან კი სასტუმრო „ივერიას“ ვესტუმრეთ.

მერე ქალაქში „მოგზაურობაც“ მოგვწყინდა და აღარ ვიცოდით, რით გაგვერთო თავი. უცებ გიამ თქვა, მოდი ქაღალდის ჩიტები გავაკეთოთ და ძირს გავაფრინოთო. დავიწყეთ ქაღალდის ძებნა, მაგრამ, როგორც გითხარით, ბებიაჩემი ისე უფრთხილდება სხვენს, რომ ზედმეტს ვერაფერს იპოვნის აქ კაცი. უცებ, კუთხეში მიდგმულ რკინის პატარა ყუთზე ქალის ძველი ხელჩანთა დავინახე, გავხსენით და... ჰოი, ბედნიერებავ! — იგი სავსე იყო რაღაც კონვერტებით, ქვითრებით, პრიალა, ვეებერთელა ფურცლებზე დახაზული სქემებითა და დიაგრამებით. ბევრი არ გვიფიქრია. დროისაგან გაყვითლებული ფურცლები ამოვყარეთ და საქმეს შევუდექით. ის იყო მეხუთე თუ მეექვსე ჩიტს ვამზადებდით გასაფრენად, რომ თითქოს რაღაც უხილავმა ხმამ ჩამძახა, მოდი, ჯერ წაიკითხე, რა წერია ამ ბარათშიო. სარკმელთან მივედი, ქაღალდი გავშალე და ხმამაღლა დავიწყე კითხვა. გია ჯერ უგულისყუროდ მისმენდა, შემდეგ კი, რაც უფრო ქვემოთ მივყვებოდი ხელნაწერს, მით უფრო ახლოს მეკვროდა და ცდილობდა ძველ ბარათში ცხვირი ჩაერგო.

ვიდრე ამ წერილის შინაარსს გაგაცნობდეთ და მოგიყვებოდეთ იმას, თუ რა როლი შეასრულა ამ წერილმა ჩემსა და გიას ცხოვრებაში, მინდა ორიოდე სიტყვით ბაბუაჩემის ამბავიც მოგითხროთ. ეს იმიტომ რომ, როგორც აღმოჩნდა, წერილი მისი ხელით იყო დაწერილი და ჩემთვის ბევრ ვაუგონარ საიდუმლოებას ხლიდა საბურველს.

ბაბუაჩემი, პროფესორი თეიმურაზ მესხი, ვისი სახე-

ლიც მე დამარქვეს, თავისი დროისათვის ცნობილი მეცნიერი ყოფილა, ბევრი წიგნიც აქვს დაწერილი. უკანასკნელ წლებში თურმე რაღაც დიდ გამოგონებაზე მუშაობდა, მერე ექსპედიცია შეუქმნია და ჩრდილოეთ პოლუსისაკენ გამგზავრებულა. გადიოდა წლები. ბაბუაჩემისა და მისი ექსპედიციის შესახებ არაფერი ისმოდა. ერთი წლის შემდეგ, რაც ბაბუამ უკანასკნელი წერილი გამოგზავნა, მეცნიერებათა აკადემიამ მაშველი რაზმი გაგზავნა ჩრდილოეთში, მაგრამ ოთხი თვის უშედეგო ძებნის შემდეგ რაზმი უკან დაბრუნდა. შემდეგ წელსაც მოაწყვეს ექსპედიცია, მაგრამ ვერც მან ჩამოიტანა რაიმე სანუგეშო. ბაბუაჩემი უგზოუკვლოდ დაიკარგა. როგორც ჩანს, ის და მისი მცირერიცხოვანი ექსპედიცია ყინულებში დაიღუპა. ამის შესახებ, რა თქმა უნდა, ბებიაჩემს არაფერს ეუბნებიან და ისიც იმედს არ ჰკარგავს, რომ ბაბუა ოდესმე დაბრუნდება. ისე იხსენიებს ხოლმე მას, როგორც ცოცხალს.

ამიტომ იყო, ასეთი მოკრძალებით რომ ვკითხულობდი მისი ხელით დაწერილ წერილს.



აი, რა მოგვითხრო მე და გიას ამ გაყვითლებულმა ბარათმა:

ჩემო ძვირფასო ქეთო!

მესამე კვირაა შენთვის ფარატინა ბარათიც არ მომიწერია. იმედია, მაპატიებ. ცდებმა ძალზე შორს წამიყვანა და ერთი წუთი თავისუფალი დრო არა მქონდა. როგორც ჩანს, სწორ გზას ვადგავარ. აპარატმა არ მიმტყუნა, იდეალურად მუშაობს. იმდენი საინტერესო ამბავი ამოხსნა და ჩამაწერინა, რომ მის ქაღალდზე გადატანას ვერ ავუდივარ.

ალბათ გახსოვს, ექსპედიციაში წასვლის წინ, სხვენზე პატარა ყუთი რომ ავიტანე. იმ ყუთში ჩემი საიდუმლო აპარატის ტყუპის ცალია. ვიდრე ექსპედიციიდან არ დავბრუნდები, აპარატს ხელი არავინ ახლოს. ხომ იცი, ცდამ თუ არ გამიმართლა, სასაცილოდ ამიგდებენ (ხალხს ისედაც არაფერი სწამდა ჩემი აღმოჩენისა). მე კი ყოველთვის მჯეროდა, რომ ჩვენს ირგვლივ ჰაერში მიმობნეულია ჩვენი წინაპრების, უხსოვარ დროში მცხოვრებ ადამიანთა ხმები. ამ ხმების გაგონება ჩვეულებრივი ყურით არ შეიძლება. ტალღები, რომლებიც ამ ბგერებისაგან შედგებოდნენ, იმდენად მცირე რხევას განიცდიან და ისე არიან დროისაგან გაცვეთილნი, რომ მათი აღმოჩენა და მითუმეტეს ჩაწერა პრაქტიკულად შეუძლებლად მიაჩნდათ. მე კი მივაღწიე შეუძლებელს: არამც თუ მივაღწიე ამ ხმების აღდგენას, არამედ ჩემი აპარატის შეშვეობით პატარა ეკრანზე დავინახე ის ხალხიც, რომლებიც ამ ხმებს გამოსცემდნენ. დღეს, მაგალითად, მოვუსმინე და ვუცქირე ადამიანებს, რომლებიც ხუთი თუ ექვსი ათასი წლის წინათ ცხოვრობდნენ. მართალია, მე მათი ენა არ მესმის, მაგრამ ნათლად დავინახე, როგორ ნადირობდნენ, ომობდნენ, ცხოვრობდნენ ეს ჩემთვის და ისტორიისათვისაც უცნობი მოსახლენი.

ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები ამ აპარატის შექმნას მოვანდომე. იმის შიშმა, რომ ჩემი ცდები უშედეგო აღმოჩნდებოდა, მაიძულა გავცლოდი მანდაურობას. გიმეორებ. მეშინოდა სასაცილოდ არ ავეგდე კოლეგებს.

ოთხი თვე უშედეგოდ დავქროდი გაყინულ მხარეში. დავქანცე ექსპედიციის წევრებიც და აქაური მკვიდრნიც. ახლახან კი წავაწყდი იმას, რასაც უკვე რამდენიმე წელია მოუთმენლად ველოდი. აპარატის მარჯვენა კუთხეში მოთავსებულმა რადარმა ნიშანი მომცა. მივყევი რადარის ნათურას და მალე აპარატიც ახმიანდა. საჩქაროდ ჩავრთე ეკრანი და... აპარატი ამუშავდა.

რაც დავინახე და მოვისმინე, ამას დაბრუნების შემდეგ მოგიყვები. ბოლო ხანებში აპარატის საშუალებით მრავალ სამარხსაც მივაკვლიე. ზოგიერთ მათგანში აურაცხელი სიმდიდრეა, რომელსაც აღწერის შემდეგ ადგილობრივ ხელისუფლებას ვაბარებ. ამ არემარეში საინტერესოს ვერაფერს ვხედავ, სულ ერთი და იგივე სურათები მეორდება. ამ უდაბურ და ყინვით მოცულ მხარეში დარჩენა დროის გაცდენას ნიშნავს. მთავარი გარკვეულია — აპარატმა გამიმართლა. რამდენიმე დღის შემდეგ შინისაკენ გამოვემართები და თვენახევარში შინ მიგულე. თვალისჩინივით მოუარე სხვენზე შენახულ აპარატს. დამიკოცნე ჩვენიანები.

შენი თეიმურაზ მესხი.

წერილის კითხვა დავამთავრე თუ არა, გიას შევხედე. გია გაოგნებული მიცქეროდა, წერილს ჩაშტერებოდა. როგორც ეტყობოდა, ვერ გამორკვეულიყო ამ უცნაური, გაუგებარი წერილის წაკითხვის შემდეგ. ძლივს, როგორც იქნა, ამოილუღლუღა:

— კი მაგრამ... ბაბუაშენის სიკვდილთან ერთად მისი საიდუმლოებაც მოკვდა?...

— ასე გამოდის... — მივუგე მე და საკუთარი ხმა მეუცხოვა, ისე ჩამხლეჩოდა ნერვიულობისაგან.

— მაგრამ... მაგრამ იქნებ ბაბუაშენი არ... მომკვდარა? მე უიმედოდ ჩავიქნიე ხელი და ამოვიხვნეშე.

— ბაბუა რომ ცოცხალი ყოფილიყო, ამდენხანს ასჯერ დაბრუნდებოდა შინ და თავის საიდუმლო აპარატსაც და მისი მუშაობის შედეგებს გამოაქვეყნებდა. რა საწყენია, რომ მასთან ერთად აპარატიც დაიკარგა... — ეს ვთქვი თუ არა, თავში რაღაც აზრმა გამკრა. გიას შევხედე. ჩანდა, ისიც იმავე ფიქრობდა, რასაც მე.

— თემო! — ჩურჩულით დაიწყო მან, — წერილში ხომ წერია, სხვენზე აპარატის ტყუპისცალია შენახული და თვალისჩინივით მოუარეო... ნუთუ ამ სხვენს გულისხმობდა პროფესორი?

— რა თქმა უნდა, ამ სხვენს... — ცოტა ფიქრის შემდეგ ვუპასუხე მე. — ჩვენ სულ ამ სახლში ვცხოვრობთ.

— მაშასადამე... — თქვა გიამ და სხვენი მოათვალიერა. მეც დავიწყე თვალების აქეთ-იქით ცეცება. უცებ მზერა იმ რკინის ყუთზე შევაჩერე, რომელზეც ჩანთა იდო. ნელა მივუახლოვდი მას და თითი დავადე. გია ჩემს უკან იდგა და აღელვებისაგან მძიმედ სუნთქავდა.

— თემო, წავიდეთ აქედან... წავიდეთ და... თუ გინდა შენი სკოლის დირექტორს გავაცნოთ წერილის შინაარსი...

მართალი გითხრათ, მშიშარა არა ვარ, მაგრამ საიდუმლო აპარატთან ასე ახლოს დგომა უჩვეულო, შიშნარევი მოკრძალების გრძნობას იწვევდა ჩემში. ჩანთა რკინის ყუთზე უხმოდ დავდე და სასწრაფოდ გატეხილი სარკმლისაკენ გავემართე. გიაც კვალდაკვალ მომყვა.

იმ დღის დარჩენილ დროს რეტდასხმული ინდაურებივით დავბორიალობდით ეზოში და ვერცერთ თამაშს ვერ დავუდეთ გული.

ღამე დიდხანს ვწრიალებდი საწოლში და შუაღამისას ძლივს ჩამეძინა. ერთი მეორეზე საშინელი და უცნაური სიზმრები მესიზმრებოდა. დილით ვეღარ მოვითმინე და გიას წავჩურჩულე:

— ავიდეთ სხვენზე...

შევატყვე, რომ გიასაც ეს სურვილი არ აძლევდა მოსვენებას და ამიტომ ხმის ამოუღებლად მომყვა უკან. ორ წუთში სხვენზე, რკინის ყუთთან ვიდექით, ვიდექით და ცნობისმოყვარეობა გვკლავდა, ბურღივით გვიხვრეტდა ტვინს.

— თემო! — ჩუმად დაიწყო გიამ, — რა მოხდება, ცალი თვალით მაინც რომ დავინახოთ ეს აპარატი?

სიტყვის დამთავრებაც არ ვაცალე, ძველი ხელჩანთა იქვე ლურსმანზე ჩამოვკიდე და ფრთხილად ავხადე ყუთს მძიმე თავსახური. ყუთში მეორე ყუთი აღმოჩნდა, რომელსაც აქეთ-იქით ორი სახელური ჰქონდა. მე და გიამ ფრთხილად ამოვიღეთ იგი და სარკმელთან, სინათლეზე მივიტანეთ. ყუთიც რომ გავხსენით, ჩვენ თვალწინ პატარა, მოსწავლის ჩანთაზე უფრო პატარა, ტელევიზორის მაგვარი საგანი აღმოჩნდა.

— აპარატი!.. — ერთხმად წავიჩურჩულეთ და უკან დავიხიეთ. მაგრამ ცდუნება იმდენად ძლიერი იყო, რომ დიდხანს ვერ შევიკავეთ თავი და კვლავ აპარატს მივუახლოვდით.

აპარატს წინა მხარეს პატარა ეკრანი ჰქონდა. ეკრანის ქვეშ ოთხი თანაბარი ზომის ღილაკი იყო განლაგებული. ერთზე ეწერა — „ჩართვა“, მეორეზე — „გამოსახულება“, მესამეზე — „ხმა“ და მეოთხეზე — „გამორთვა“. თავსახურზე, გრძელი შუშის ქვეშ იყო წარწერა: საუკუნეები, წლები, თვეები. იქვე, შუშის გვერდით, კატის თვალივით მრგვალი ნათურა ბზინავდა, ხოლო კიდევ უფრო მარჯვნივ ანტენისმაგვარი დრეკადი მავთული ჩანდა, რომლის ბოლო პატარა, მოყვითალო ისრით მთავრდებოდა. ეს იყო და ეს. რა თქმა უნდა, აპარატს შიგნით უამრავი ნაწილი ექნებოდა, მაგრამ მათი დათვალიერების სურვილი სრულებითაც არ მქონდა.

— საიდუმლო აპარატი! — თავისთვის ჩაილაპარაკა გიამ და ფრთხილად შეეხო ერთ ღილაკს. უეცრად აპარატის შიგნით რაღაცა აშრიალდა. ნათურა წითლად აინთო და ანტენა-რადარის ისარი მკვირცხლად შეტრიალდა სარკმლისაკენ. დაფეთებულები განზე გავხტით და დიდხანს ვერ მოვეგეთ გონს, რა მოხდა. როგორც იქნა, მოვისაზრეთ, რომ გიამ იმ ღილაკს დააჭირა თითი, სადაც იყო წარწერა — „ჩართვა“. მერე თვალი გავაყოლეთ ისრის მიმართულებას. იგი თბილისის ძველ ციხეზე, ნარიყალაზე მიგვითითებდა. აპარატი შრიალს განაგრძობდა, მაგრამ არც ადამიანის ხმა ისმოდა და არც გამოსახულება ჩანდა.

რიგრიგობით ყველა ღილაკი ჩავრთეთ, მაგრამ აპარატი მხოლოდ ჩუმად შრიალებდა და მეტი არაფერი.

რა გაეწყობოდა. იგი კვლავ პირველ ყუთში მოვათავსეთ, შემდეგ რკინისაში ჩავდგით, თავსახური დავუშვით და ზედ წერილებით სავსე ხელჩანთა დავადეთ.

საღამომდე კვლავ მოწყენილები და უცნაური აზრებით შეშფოთებულები დავდიოდით ეზოსა და ქუჩაში. საღამოს კი დედაჩემმა „გვახარა“:

— აბა, ბავშვებო, ნუ ჩამოჰყარეთ ყურები. ხვალ დილით ამირან ბიძია ჩამოვა და მცხეთაში წაგიყვანთ. ცოტახნით იქაც გაერთეთ, თორემ ამ ბოლო დროს მოხარშულ ქათმებს დაემსგავსეთ.

გიას გადავხედე. მას მკვდრის ფერი დასდებოდა. არც მე მჭირდა უკეთესი. მცხეთაში წასვლა იმას ნიშნავდა, რომ ხვალიდან აპარატს ვეღარ ვნახავდით. მე კი უკვე გადაწყვეტილი მქონდა, აპარატი სხვენიდან ჩამომეტანა და ხვალვე ავსულიყავით ნარიყალაზე...

გიამ თვალი ჩამიკრა და აივანზე გავიდა. მეც უკან მივყევი.

— თემო, რა ვქნათ? — ჩუმად იკითხა მან.

— არ ვიცი! — ასევე ჩუმად მივუგე მე.

ერთხანს უხმოდ ვიდექით.

— თემურ! — კვლავ დაიწყო გიამ, — ვერ შევძლებთ როგორმე აპარატი მცხეთაში რომ წავიღოთ? იქ, ხომ იცი, რამდენი ისტორიული ადგილებია!..

შევკრთი, გიას წინადადებამ დამაბნია. ლუღლუღი დავიწყე:

— რატომაც ვერა... თუმცა ბებიამ ან დედამ რომ... რა ვიცი... თუმცა ვცადოთ, განა რას დავაშავებთ ისეთს...

იმ ღამესაც დიდხანს არ დამეძინა. დილიდან კი ჩემი ბარგი-ბარხანის ჩალაგებას შევუდექი.

— თემურ, რად გინდა მაგხელა ზურგჩანთა! მთელი წლით ხომ არ მიდიხარ, შვილო! — მითხრა ბებიამ.

— წიგნებიც მიმაქვს... ბევრი წიგნი... და იმიტომ... — დავიწყე თავის მართლება და ხელით მოვსინჯე ზურგჩანთის ძირზე ნაჭრებში სათუთად გახვეული საიდუმლო აპარატი.

●

მცხეთაში მთელი კვირა ისე გავიდა ვერ იქნა და ვერ გამოვცადეთ აპარატი. ხან წვიმამ შეგვიშალა ხელი, ხან კიდევ რამ და ხან კიდევ რამ.

იმ დღეს კი დილიდან ყველაფერი ხელს გვიწყობდა. ამირან ბიძია სამსახურში იყო, ლილი ბიცოლა რაღაც



საქმეზე თბილისში წავიდა და შინ მხოლოდ მე და გია დავრჩით.

მშვენიერი, მზიანი დილა იყო, ქუჩაში რომ გამოვედით. გიას ხელში სასკოლო ჩანთა ეჭირა, შიგ კი საიდუმლო აპარატი იდო.

ჩვენი გეგმა უბრალო იყო: ქალაქგარეთ უნდა გავსულიყავით, მყუდრო ადგილი მოგვეძებნა, აპარატი ჩაგვერთო და... დანარჩენი მასზე იყო დამოკიდებული.

ერთ საათზე მეტ ხანს მოვუნდით გზას. გადავედით მტკვარზე გადებულ ხიდზე, გადავჭერით რკინიგზის ხაზი და ტყიან აღმართს შევუყევით.

— გავხსნათ? — სულწასულივით ვიკითხე.

— ჯერ არა! აქ სადღაც პიონერთა ბანაკია. მას რომ გავსცდებით, მერე უფრო დაბურული ტყე იწყება, ხალხი იშვიათად დადის იქ და მერე... — მიპასუხა გიამ.

და მართლაც, მალე გამოჩნდა პიონერთა ბანაკი. იქიდან ჟივილ-ხივილი და სიმღერა ისმოდა.

ბილიკიდან გადავუხვიეთ და მაღალი კლდისაკენ ავიღეთ გეზი. ცოტაც გავიარეთ და შევდექით.

— აქ ვსინჯოთ. — ხმის კანკალით თქვა გიამ და ჩანთა გახსნა. აპარატი ამოიღო და მოლზე დადო.

— დავიწყოთ? — რატომღაც ჩურჩულით ვიკითხე.

— დავიწყოთ. — ასევე ჩურჩულით მიპასუხა გიამ.

ნელა მივადე თითი ღილაკს, დავაჭირე და აპარატი აშრიალდა. ნათურა თვალისმომჭრელად აკიაფდა. ანტენა — რადარი ერთი შეტოკდა, გასწორდა და ისარმა ზევით, კლდისაკენ მიგვანიშნა.

მივყევით ისრის მიმართულებას. რაც უფრო წინ მივიწევდით, ნათურა მით უფრო მძლავრად ანათებდა. უცებ აპარატის სიღრმიდან ოდნავ გასაგონი ხმა მოისმა. სუნთქვა შეგვეკრა და ნაბიჯს მოვუმატეთ. ხმა თანდათან ძლიერდებოდა და უეცრად შეწყდა. სამაგიეროდ ეკრანი აციმციმდა. რადარის ისარმა ოდნავ იცვალა მიმართულება, ეკრანზე ჯერ გაურკვევლად, შემდეგ კი თანდათან უფრო მკაფიოდ გამოჩნდა ტყე, ბილიკი, წყარო, მის ზევით — კლდე. შევხედეთ თუ არა კლდეს, იმწამსვე მივხვდით, რომ ისარიც ამ კლდისაკენ მიგვითითებდა.

— ნუთუ?.. — აღმოხდა გიას.

— რა ნუთუ? — ვკითხე მე.

— ნუთუ იმ ტყეში ვიმყოფებით, ეკრანზე რომ მოჩანს?

ეჭვი არ იყო — ჩვენ იმ ადგილზე ვიყავით, რომელიც ეკრანზე ჩანდა.

უეცრად ეკრანს ჩრდილი დაადგა. ჩრდილი თანდათან ადამიანის სილუეტად იქცა და, ცოტა ხნის შემდეგ ნათლად დავინახეთ შავ სუდარაში გახვეული ადამიანი. იგი ჩქარი ნაბიჯით კლდისაკენ მიემართებოდა. ხელში პატარა ტომარა ეჭირა. ეტყობოდა, ტომარა მძიმე იყო, რადგან ადამიანი ხშირ-ხშირად ინაცვლებდა ხელს.

ჩქარი ნაბიჯით მივყევით სუდარიან აჩრდილს და ნახევარ საათში კლდის ძირას აღმოვჩნდით.

კაცი შედგა, მიმოიხედა, კიდევ უფრო მიუახლოვდა კლდეს და სუდარა გადაიწია; დავინახეთ, როგორ ამოიღო ჯიბიდან ჯოხისმაგვარი საგანი, ტომარა მიწაზე დადო და ჯოხი კლდის ერთ ნაწილს გამეტებით აძგერა. ეკრანზე ნათლად გამოჩნდა კლდის ეს მონაკვეთიც. გაპრიალებულ ქვაზე ამოკვეთილი იყო ორთავიანი რაში, რომელიც ტორებით ვეებერთელა თევზს თელავდა. ჯოხი რაშს თვალში მოხვდა. კაცმა ჯოხი დაატრიალა და უცებ საზარელი ღრჭიალი გაისმა, თითქოს წისქვილის ქვაში კაჟის ან რკინის ნატეხი მოხვდაო. ნახატიანი ქვა შეტორტმანდა, შექანდა და ნელ-ნელა აიწია: კაცი მუხლებზე დაემხო და ბუტბუტი დაიწყო.

— ღმერთებო მზისა და მთვარისა! ვარსკვლავთა და ღრუბელთა! ქვესკნელისა და ზესკნელისა! დაიფარეთ მონა თქვენი განსაცდელისაგან! მიეცით ძალა თქვენს სამყოფელსა და სამლოცველოში შესვლისა!

დაამთავრა თუ არა ეს სიტყვები, ფეხზე წამოდგა, ტომარას ხელი დაავლო და ის იყო გამოქვაბულის ღია კარში აპირებდა შესვლას, რომ უეცრად დაიყვირა, მოტრიალდა, ორი ნაბიჯი გადადგა განზე და პირქვე დაემხო მიწაზე.

ეკრანზე მკაფიოდ გამოჩნდა ზურგში ღრმად გარჭობილი ისარი. იმწამსვე მომაკვდავთან ორი კაცი გაჩნდა. სახე შებურვილი ჰქონდათ, მძიმე ტომარას ხელი დასტაცეს და გაუჩინარდნენ.

სუდარაში გახვეულმა კაცმა ერთიც ამოიგმინა და წამოდგომა სცადა. საწყალს ძალა გამოლეოდა, მაგრამ მაინც გაფორთხდა. აი, მიაღწია გამოქვაბულის შესასვლელს, ოდნავ განზე გადაუხვია და ქვის კედელში მიმაგრებულ რკინის სახელურს დასწვდა. ვატყობდით, როგორ ცდილობდა ბერკეტი თავისკენ გადმოეწია, მაგრამ ძალა აღარ ეყო. ძლივსგასაგონად ამოიხრიალა და უსულოდ დაეცა ძირს. გამოქვაბულის კარი ღია დარჩა.

ეკრანი ჩაქრა. წითელი ნათურა ოდნავ შესამჩნევად ბჟუტავდა. ანტენა-რადარის ისარმა ძირს დაუშვა წვეტი. აპარატის თავზე მოთავსებულ შუშის შკალაზე შემორჩენილიყო ამ უცნაური და ჩვენთვის გაუგებარი სცენის თარიღი — მესამე საუკუნე, ორას ოცდათორმეტი წელი, მეხუთე თვე...

გაოგნებული ვიდექით და განძრევის გვეშინოდა. შიშს ისიც გვიძლიერებდა, რომ ჩვენ ამ მკვლელობის ადგილზე ვიდექით. მერე რა, რომ იგი თითქმის ჩვიდმეტი საუკუნის წინათ მოხდა და არც მკვლელებისა და არც შავ სუდარაში გახვეული კაცის ძვლებიც კი აღარ არსებობდა.

დიდხანს შევცქეროდით გამოქვაბულს, რომელსაც იმ კაცმა „ღრუბლების სამყოფელი და სამლოცველო" უწოდა. ვინ იყო ის საცოდავი? რა უნდოდა ამ გამოქვაბულში? რატომ მოკლეს? რა ჰქონდა ტომარაში და რა მექანიზმმა აიტაცა ზევით მოხატული ლოდი? ამას, რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ გავიგებდით. საჭირო იყო აპარატი ისტორიკოსებისა და არქეოლოგებისათვის გადაგვეცა და ისინი კვლავ გაამეორებინებდნენ საიდუმლო აპარატს ჩვენს მიერ ნახულ ამბავს.

— გია, თუ ძმა ხარ, გავშორდეთ აქაურობას! — ვუთხარი მეგობარს და სახელო მოვქაჩე.

მაგრამ, გია აბა რის გიაა. თუ ასეთ უცნაურ ამბავს ბოლომდე არ მიჰყვება. მან ჯიუტად გაიქნია თავი, ჯიბიდან ელექტროფარანი ამოიღო და გამოქვაბულში შევიდა. რაღა გაეწყობოდა, მეც ხელში აპარატი ავიღე და მივყევი. გამოქვაბულში ნესტისა და შმორის სუნი იდგა. გიას ფარანი ძლივს ანათებდა სიპ კედლებს. შევატყე, რომ გია იქით მიდიოდა, საითაც უცნობი ფორთხვით გაემართა. უცებ გია შედგა და ხელი უხმოდ კედლისაკენ გაიშვირა, სადაც დროისა და ნესტისაგან შეჭმული რკინის ბერკეტი იყო გამოჩრილი.

არ ვიცი, რა ძალამ მაიძულა ახლოს მისულიყავი ამ რკინასთან და მთელი ძალით მომექაჩა იგი. ბერკეტი არ დამნებდა. უფრო ძლიერად მოვქაჩე და... უეცრად საშინელი ხმაური გაისმა. ისე შემეშინდა, რომ ანგარიშმიუცემლად მოვწყდი ადგილს და, იმის ნაცვლად, რომ უკან გავქცეულიყავი, გამოქვაბულის სიღრმისაკენ გავქანდი. ფეხი წამოვკარი რაღაცას და ორმოში მოვადინე ზღართანი. საშინელი ტკივილი ვიგრძენი ფეხში, ლამის სუნთქვა შემეკრა. ირგვლივ კი უკუნეთი სიბნელე იყო. გამოქვაბული საშინლად ხმაურობდა. მივხვდი, რომ ბერკეტის მოქაჩვით ავამოქმედე საუკუნეთა განმავლობაში უმოძრაოდ მყოფი მექანიზმი და ქვის კარი დავუშვი. ერთი კი ვიღრიალე: — გი-ი-ა! და გრძნობა დავკარგე. შემდეგ რაც მოხდა, ამას გია მოგიყვებათ.

### გიას ნაამბობი

უეცრად ისეთი საშინელი ხმა გაისმა, გეგონებოდათ, ზარბაზანი დაცალესო, თავზე მტვრის კორიანტელი



დატრიალდა, თვალები სილით ამევსო. გამოქვაბულის კედლები ისე ზანზარებდნენ, თითქოს დანგრევას ლამობდნენ.

— თემურ! თემურ! — ვიყვირე თავზარდაცემულმა და აქეთ-იქით დავიწყე თვალების ცეცება.

— გი-ი-ი-ა!, გი-ი-ი-ა! — მომესმა თემურის ხმა, მაგრამ ირგვლივ ისეთი გრუხუნი იყო, რომ ვერ გავარკვიე, რომელი მხრიდან მეძახდა. მომეჩვენა, თითქოს თემური გამოქვაბულის შესასვლელიდან მიხმობდა. მივყევი თემურის ძახილს. მივაღწიე იმ ადგილს, სადაც ჯიბის ფარანი ავანთე. თანდათან სინათლე მატულობდა და მალე ხეები, მზე, და ქვევით, ძალიან შორს, მცხეთაც დავინახე.

— თე-მურ! — გავძახე სივრცეს და მივაყურე. ხმა არსაიდან ისმოდა, სამაგიეროდ, გამოქვაბულში კიდევ ერთხელ დაიქუხა და უცებ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

თავზარდაცემული ვიყურებოდი აქეთ-იქით და რა მექნა არ ვიცოდი. ისევ გამოქვაბულისაკენ ვიბრუნე პირი და... ადგილზე გავშეშდი: გამოქვაბული აღარ არსებობდა. უფრო სწორად, შესასვლელი, რომლითაც ჩვენ გამოქვაბულში შევედით, ვეებერთელა ქვას ამოექოლა. როგორც ჩანს, ეს საზარელი გრუხუნი კლდის ზევიდან დაშვებამ გამოიწვია მტვერი ცოტა რომ დაიწმინდა, ქვის მარჯვენა კუთხეზე ორთავიანი რაში დავინახე, რომელიც წინა ფლოქვებით ვეებერთელა თევზს შედგომოდა.

შიშის ელდას ავეტანე, მაგრამ სხვა გზა არ იყო, თემურისათვის უნდა მეშველა. გაშმაგებული ვეძგერე გოლიათურ კარს და მუშტები, წიხლები დავუშინე. ქვა, ცხადია, ადგილიდანაც არ დაიძრა. მომეჩვენა, თითქოს ორთავიანმა რაშმა ჩემკენ მოაბრუნა ორივე თავი და ჩუმად, დამცინავად ჩაიხვიხვინა. ღონემიხდილი იქვე ჩავიკეცე და ტირილი დავიწყე.

უცებ მომაგონდა აპარატის ეკრანზე ნახული: შავ სუდარაში გახვეული მოხუცი მიუახლოვდა ჩამკეტ ქვას, რაშის თვალებს რაღაც ჯოხისმაგვარი ატაკა, დაატრიალა და თანდათან, თითქოს გაბურღაო, ჯოხი ტარამდე ჩაარჭო ქვაში. ისიც მომაგონდა, გრუხუნი რომ გაისმა აპარატში, ქვა როგორ ავიდა ზევით, გამოქვაბულის ჭერში. სიხარულით ზეზე წამოვვარდი, მაგრამ ჩემი სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა: ჯერ ერთი, არ მქონდა ის „ჯადოსნური“ ჯოხი, და მეორეც, დროს და მტვერს ისე ამოევსოთ რაშის თვალები, რომ ის ჯოხი კიდევაც რომ მქონოდა სად უნდა გამეყარა ვერ მივხვდებოდი.

საგონებელში ჩავარდნილს აღარ ვიცოდი რა მექნა, რომ ტყისპირიდან, სადაც იმ დილით პიონერთა ბანაკი შევნიშნეთ, მხიარული სიმღერა მომესმა.

თითქოს ათასი შევარდენი შემიჯდა მხრებშიო, ისე დავქანდი უცნობი ტოლებისაკენ. სიმღერა სულ უფრო ახლოს მესმოდა. აი, გამოჩნდა კარვებიც. ანძაზე პიონერული ალამი ფრიალებდა. გოგო-ბიჭები მოლზე ისხდნენ და არხეინად მღეროდნენ.

წარმოიდგინეთ ბავშვების გაკვირვება, როდესაც მოულოდნელად მათ წინ ეკალ-ბარდებისაგან შარვალშემოხეული, დაკაწრული, მტვერში და ტალახში ამოგანგლული არსება დაინახეს. სიმღერა, რა თქმა უნდა, იმწამსვე შეწყდა.

— ეჰე, ეს რა მოჩვენებაა! — წამოიძახა ვიღაც ქერათმიანმა გოგონამ და გულიანად გადაიკისკისა. წამიც და, პიონერების სიცილ-ხარხარმა გააყრუა იქაურობა. მე კი სულელივით აქეთ-იქით ვიყურებოდი და როგორ ამეხსნა მათთვის ჩემი გასაჭირი, არ ვიცოდი.

— მოიცათ, ბავშვებო, ამ ბიჭს, ეტყობა, რაღაც უბედურება შეემთხვა, — თქვა ერთმა და ფეხზე წამოდგა.

— ცხვირიდან სისხლი სდის, — თქვა მეორემ. და ისიც მომიახლოვდა.

— რა მოხდა, რა ამბავია? — იკითხა ვიღაც მაღალმა, როგორც მერე გავიგე, პიონერხელმძღვანელმა. და მხარზე ხელი დამადო.

მე კი შიშისაგან, სასოწარკვეთილებისა და დაღლილობისაგან მთელი სხეულით ვცახცახებდი, ერთ ადგილზე ვტრიალებდი და გაფუჭებული ფირფიტასავით ერთსა და იგივეს ვიმეორებდი:

— თემური... გამოქვაბული... აპარატი... რაში...

— ვინ თემური, რა გამოქვაბული, რომელი აპარატი? — დამაყარეს კითხვები აქეთ-იქიდან. უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე, ერთხელაც ავხედე საშინელ კლდეს და როგორც შემეძლო მოკლედ მოვყევი ყველაფერი.

სულ მალე პიონერული საყვირის საგანგაშო მოძახილმა ბანაკისაკენ მოუხმო იმ პიონერებსაც კი, ვინც სადილს ამზადებდა. ბანაკში მგონი ორი მორიგის გარდა არავინ დარჩენილა.

პიონერები ორ ჯგუფად გაიყვნენ. პირველი, დიდი ნაწილი, ხელმძღვანელის მეთაურობითა და ჩემი თანხლებით ზევით, ჩაკეტილი გამოქვაბულისაკენ გაემართა, მეორე კი მცხეთისაკენ გაიქცა. მას დაევალა სასწრაფოდ ეცნობებინა ხალხისათვის ეს უჩვეულო ამბავი და გამოქვაბულისაკენ წამოეყვანათ.

აღმართი საშინლად გრძელი მეჩვენებოდა. ამდენი განცდისაგან თვალთ მიბნელდებოდა, მაგრამ მაინც ჯგუფის წინ ქოშინითა და ხვნეშით მივრბოდი.

„ვაითუ თემური დაიღუპა? ვაითუ შიშით გული გაუსკდა? ვაითუ...“ — რა არ მიელავდა ტვინში.

როგორც იქნა, გამოქვაბულსაც მივაღწიეთ და წამით შევდექით, სული მოვითქვით. უცნობი წინაპრების მიერ გამოთლილი და გამოქვაბულის ჩასაკეტად მორგებული ვეებერთელა ლოდი ისევე უძრავად იდო და საიმედოდ იცავდა იმ ძვირფას განძს, რომელსაც შეიძლება, შეეწირა კიდეც თემური.

— წერაქვი მომაწოდეთ! — ბრძანა პიონერხელმძღვანელმა. წერაქვი რომ მისცეს, ხელისგულებზე დაიფურთხა, ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და ლოდს ისე მაგრად დასცხო, რომ ირგვლივ ნაპერწკლები მიმოიბნა. დიდხანს ურტყა. ბოლოს, როგორც ჩანდა, ღონე გამოელია, წერაქვი მიაგდო, ოფლი მოიწმინდა და უიმედოდ გაიქნია თავი.

— ამ იარაღით აქ ვერაფერს გახდები კაცი. მცხეთელებს დაველოდოთ. მანამდე კი დროს ნუ დავკარგავთ და კლდეს ირგვლივ შემოვუაროთ, იქნებ სხვა შესასვლელიც ვიპოვნოთ...

ამ წინადადების გამეორება არ დასჭირვებია. ბავშვები წამში გაუჩინარდნენ, გამოქვაბულის შესასვლელთან მხოლოდ მე დავრჩი. ვიწრო, თვალით ძლივს შესამჩნევ ნაპრალს ტუჩები მივადე და, რაც ძალა და ღონე მქონდა, ვიყვირე:

— თემურ! თემურ! თე-ე-მო!

ვყვიროდი, ვიდრე ხმა არ ჩამეხლიჩა და ყელი არ გამიშრა. რამდენჯერმე მომეჩვენა, თითქოს ლოდის შიგნიდან ვიღაც მეხმიანებოდა. მაშინ უფრო გამწარებული ვყვიროდი და ცივ ქვას მუშტებს ვუშენდი.

ჩემი ახალშეძენილი მეგობრები თანდათან იკრიბებოდნენ. დამნაშავესავით თვალს ვერ მისწორებდნენ.

თითქოს მათი ბრალი იყო, გამოქვაბულში მეორე შესასვლელი რომ ვერ იპოვნეს.

პიონერხელმძღვანელმა კი ხელი გადამხვია, შემანჯღრია და გამამხნევა: — ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება. ამ ქვას თუ ვეღარ მოვერიეთ, რაღა ვაჟკაცები ვართ...

მხნედ ამბობდა, მაგრამ ვატყობდი, რომ მასაც ჩემსავით ეშინოდა, რამე უბედურება არ დამართნოდა თემურს.

— მოდიან, მოდიან! — იყვირა უცებ ერთმა პიონერმა და თითი ქვევითკენ გაიშვირა. ბილიკზე ოცამდე კაცი ამოდიოდა. წინ, სირბილით, გოგო-ბიჭები მოუძღოდნენ. მალე გამოქვაბულის წინ ტევა აღარ იყო. ზომავდნენ, რაღაც გრძელტარიან იარაღებს მართავდნენ. შემდეგ ვიღაც ჭაღარათმიანმა კაცმა ბრძანება გასცა:

— აბა, ბავშვებო, განზე მიდექით, გაეცალეთ აქაურობას. თქვენ, ორმა, ბურღეთ მარჯვნიდან, თქვენ კი ეცადეთ მარცხენა კუთხე ჩამოამტვრიოთ. აბა, დავიწყოთ! ჩართეთ მოტორი!

მოტორის დაგადუგმა შესძრა არემარე. ლოდი თავგანწირვით უმკლავდებოდა ტექნიკას, მაგრამ თანდათან შედრკა. ჯერ პატარა, შემდეგ კი ვეებერთელა ნატეხები ყრუ ჭახუნით ცვივოდნენ ძირს. აი, ორთავიან რაშს მოტყდა ერთი თავი, შემდეგ გაებზარა სხეული, ფეხები...

ჩვენ კი სულგანაბულნი, იმედით ვუცქერდით ძველი და ახალი დროის ულმობელ ჭიდილს.

### ა მ ბ ა ვ ს ი ს ე ვ მ ე გ ა ნ ვ ა გ რ ძ ო ბ

როგორც ამ ამბის დასაწყისში გითხარით, საავადმყოფოში ვწევარ და კითხვებზე პასუხის გაცემას ვუნდები. თუმცა ჩემზე უარეს დღეში გია ბესელაშვილია.

— თბილისიდან ჩამოსულ მეცნიერებს როგორმე გავუძლებ, მაგრამ ამ ბოლო დროს ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდანაც ჩამოდიან, სურათებს მიღებენ, რაღაც-რაღაცებს მეკითხებიან, — შემომჩივლა გიამ.

— შენ ჯერჯერობით არ გაწუხებენ. ავად ხარ და გიფრთხილდებიან, მაგრამ მორჩები თუ არა... — სიცილით მითხრა ექიმმა და ზეწარი გამისწორა.

ეჰ, მეც კი ვიცი, რომ წინ დიდი ალიაქოთი მელის. სხვა თუ არაფერი, ბებიაჩემს როგორ შევხედო თვალებში! მართალია, ყოველდღე დადის ჩემს სანახავად და მკოცნის კიდეც, მაგრამ ნაწყენი რომ არის ჩემზე, ამას თქმა რად უნდა!

გუშინ დილით ექიმმა წერილი გადმომცა. კონვერტზე დიდი ნაბეჭდი ასოებით ეწერა: **„საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია“** ქვევით კი ჩემი სახელი და გვარი იყო მიწერილი. აი, რა ეწერა ამ წერილში:

„ჩემო პატარა ანცო მეგობარო! ბოდიშს ვიხდი, რომ ვერ გინახულე. დიდი გაკვირვებითა და სიამოვნებით მოვისმინე შენი თავგადასავალი. მე პირადად ვიცნობდი შენს სახელოვან ბაბუას, პროფესორ თეიმურაზ მესხს. ვიცნობდი და დიდად ვაფასებდი მის ნიჭს. სამწუხაროა, რომ იგი უდროოდ დაიღუპა და ვერ მოესწრო თავისი გენიალური გამოგონების გამოქვეყნებას. იმის შესახებ, თუ სად ინახებოდა მისი საიდუმლო აპარატის ტყუპის ცალი, მეცნიერებმა, რა თქმა უნდა, არაფერი ვიცოდით. შენ და გია რომ არ ყოფილიყავით, ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს იქნებოდა იგი გამოუყენებელი. ამ აპარატმა მოკლე დროში იმდენი ფასდაუდებელი აღმოჩენა აჩუქა არქეოლოგებს, რომ ძნელია მათი ჩამოთვლა.

რა თქმა უნდა, თქვენ დიდი შეცდომა დაუშვით, აპარატი უნებართვოდ რომ წაიღეთ და არავის არ შეატყობინეთ მისი არსებობის ამბავი. ხომ შეიძლებოდა აპარატს რაიმე მოსვლოდა, მაშინ ბაბუაშენის აღმოჩენაც დაიკარგებოდა. კიდევ კარგი, პიონერებმა იგი იმ ორმოში იპოვნეს, სადაც შენ ფეხი მოიტეხე და დაუზიანებლად ჩამოიტანეს თბილისში.

აბა შენ იცი რა ყოჩაღად იქნები! დაუჯერე ექიმებს და მალე გამოჯანმრთელდები. გავიგე, რომ არქეოლოგია გიტაცებს და ბაბუაშენის საქმე გინდა განაგრძო. მივესალმები ამ გადაწყვეტილებას და ყოველნაირად დაგეხმარები მის განხორციელებაში. ოღონდ უნდა გახსოვდეს, რომ არქეოლოგები გულადი, დაუზარელი და გულწრფელი ადამიანები არიან. რაც მთავარია, ეგოისტურად არ უდგებიან თავის აღმოჩენებს და მათ ხალხის სამსახურში აყენებენ.

იმედია, მალე გინახულებ.

**საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი“.**

ეს არის და ეს. ჩემი თხრობა დასასრულს უახლოვდება და მას ვეღარაფერს დავუმატებ.

დერეფანში ნაბიჯების ხმა ისმის, ალბათ ისევ ჩემს სანახავად მოდიან და კვლავ შეკითხვებით შემიკლავენ ხელში. მეტი გზა არა მაქვს, უნდა ვესაუბრო. ამიტომ სასწრაფოდ გემშვიდობებით. საიდუმლო აპარატის „საქმიანობაზე“ კი სულ მალე ჟურნალ-გაზეთებიდან გაიგებთ.



# იცნობ თუ არა შენ მშობლიურ მხარეს?





# მარტვილის ტაძარი

ძველი ქართული ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ძეგლი — მარტვილის ტაძარი სამეგრელოში მდებარეობს, გეგეჭკორთან ახლოს. იგი აუშენებიათ მაღალ ბორცვზე, საიდანაც წარმტაცი ხედი იშლება ცხენისწყლის ხეობისა და თითქმის მთელი სამეგრელოსი, თვით ლეჩხუმ-სვანეთის გოროზ ქედებამდე.

„მარტვილი" ბერძნული სიტყვაა და წამებულს ნიშნავს, აქედან წარმომდგარა ტაძრის სახელწოდება, ე. ი. იგი წმიდა მოწამეთა სახელობაზე აუშენებიათ. ხოლო თვით ადგილის ძველი მეგრული სახელია — ჭყონდიდი, ანუ დიდი მუხა. სწორედ ამ სახელით არიან ცნობილნი საქართველოს დიდებული მღვდელმთავარნი — ჭყონდიდელები (მაგალითად: გიორგი ჭყონდიდელი, დავით აღმაშენებლის ვაზირი — მწიგნობართუხუცესი). გადმოცემის მიხედვით, მარტვილის ტაძრის ტრაპეზი დადგმული ყოფილა ანდრია მოციქულის მიერ მოჭრილი მუხის ძირზე; მასვე მოუქცევია ქრისტიანობაზე მეგრელნი...

ტაძრის აგების ზუსტი თარიღი არც წერილობით წყაროებსა და არც ტაძრის წარწერებს არ დაუცავთ. ჩვენამდე მოღწეულა მხოლოდ რამდენიმე მოგვიანო ჩანაწერი და ცალკეული ცნობები, რომლებიც ტაძრის ცხოვრების ისტორიას შეეხება. მაგალითად, XI საუკუნის ისტორიულ თხზულებას — „მატიანე ქართლისას" — დაუცავს ერთი ცნობა, საიდანაც ვიგებთ, რომ აფხაზთა მეფემ — გიორგი მეორემ — „აღაშენა საყდარი ჭყონდიდისა. შექმნა საეპისკოპოზოდ და განაშენა იგი ნაწილთა სიმრავლითა წმიდათა მარტვილთათა", მაგრამ, როგორც მკვლევარნი ვარაუდობენ, აქ ლაპარაკი უნდა იყოს არა ტაძრის აშენებაზე, არამედ მის განახლება-შეკეთებაზე, დასავლეთის მხარეზე ახალი ეკვდერის[1] მიშენებასა და საეპისკოპოსო კათედრის დაარსებაზე. თავის დროზე, ცნობილ ფრანგ ქართველოლოგს, მარი ბროსეს ამ ეკვდერში მიუკვლევია რელიეფური ასომთავრული წარწერის ფრაგმენტებისათვის, გადმოუწერია იგი და მათ შორის ამოუკითხავს თარიღი 996 წელი (ბაგრატ III-ს მეფობის ხანა). ეს წარწერა დღეს გამქრალია. აღსანიშნავია, რომ პალეოგრაფიული[2] თვალსაზრისით, ანალოგიური წარწერა არსებულა იმავე ეკვდერში გამოსახულ ქრისტეს ფიგურასთან, რომელიც X საუკუნეში აშენებული ცნობილი ტაძრის — კუმურდოს წარწერების მსგავსი ყოფილა. გარდა ამისა, „მატიანე ქართლისას" დაუცავს ცნობა იმის შესახებ, რომ ბაგრატ IV-ეს (1027-72 წ.წ.), ჯერ კიდევ სიცოცხლეში დაუდევს საფლავი მარტვილის ტაძარში და გარდაცვალების შემდეგ დიდი პატივით იქ დაუკრძალავთ. ყოველივე ზემოთქმული ნიშანდობლივ მეტყველებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და გამოჩინებული ყოფილა იმ პერიოდში მარტვილის ტაძარი. როგორც შემდგომი წყაროები და მატერიალური კულტურის ძეგლები (რომელთა უმეტესი ნაწილი ამჟამად საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული) მიგვითითებს, ტაძარს ასეთი მნიშვნელობა, მეტნაკლებად, თითქმის XIX საუკუნემდე არ დაუკარგავს, ამდენად ბუნებრივიცაა, რომ ჟამთა სვლის შედეგად ძეგლს ძველი იერი საგრძნობლად შეუცვლია და მისი პირვანდელი სახის დადგენა, მხოლოდ საგანგებო კვლევა-ძიების შედეგად გახდა შესაძლებელი. ძეგლის შესწავლამ ცხადყო, რომ იგი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების იმ ჯგუფთან არის დაკავშირებული, რომელიც „ჯვრის ტიპის" სახელწოდებით არის ცნობილი და ქართული საამშენებლო ხელოვნების განვითარების ერთ-ერთ ძველ პერიოდში, კერძოდ VII ს. დასაწყისშია შექმნილი.

დღეს ძნელად თუ მოიძებნება ჩვენში. დიდი თუ პატარა, ვისაც არ უნახავს ჩვენი კულტურის სიამაყე — მცხეთის ჯვრის ტაძარი, ატენის სიონი, ან ძველი შუამთის სამონასტრო კომპლექსის დიდი ეკლესია. სწორედ მათ რიცხვს მიეკუთვნება მარტვილის ტაძარი. ყველა ამ ძეგლისათვის დამახასიათებელია გეგმის ჯვრული ფორმის კომპოზიცია, სადაც ჯვრის ყოველი მკლავი ნახევარწრიული ფორმის აბსიდებით[3] არის

---

[1]. ეკვდერი — მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი სათავსო, ან მინაშენი თავის საკურთხევლით.

[2] პალეოგრაფია — დამწერლობის შემსწავლელი მეცნიერება.

[3] აბსიდა — ტაძრის წრიული ან წახნაგოვანი კამარით გადახურული ნაწილი, რომელშიც მოთავსებულია საკურთხეველი.

დამთავრებული. ხოლო აღმოსავლეთისა და დასავლეთის მკლავების ორივე მხარეზე, კუთხეებში, მცირე ზომის სამყოფელებია მოთავსებული, ამ სამყოფელებში შესვლა მხოლოდ ნიშებში (ანუ ექსედრებში) დატანებული შესასვლელის საშუალებით ხერხდება. (ეს ნიშები წრის $^{3}/_{4}$-ის მოყვანილობისაა) ასეთი გეგმის მქონე ეკლესიებს სხვაგვარად „ტეტრაკონქებს“ უწოდებენ. ამ სახის ხუროთმოძღვრულ ძეგლებში, თვით ძეგლის საერთო მოცულობის სიმცირესთან შედარებით, თვალში საცემია შიდა სივრცის გრანდიოზულობა. ამასთან, ეს სივრცე, საოცრად ნათლად აღიქმება ფასადებზეც. აღსანიშნავია, რომ ჯვრის ტიპის ტაძრები მხოლოდ საქართველოსა და სომხეთის ხუროთმოძღვრებისათვის არის დამახასიათებელი. ასეთი ტიპის ტაძრები სხვაგან არ გვხვდება. ამ ხუროთმოძღვრულმა თემამ უაღრესად მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქართული სამშენებლო ხელოვნების შემდგომ განვითარებაზე.

მარტვილის ტაძრის ჯვრული ტიპის ნაგებობისადმი მიკუთვნება იმას როდი ნიშნავს, რომ იგი უბრალო განმეორებაა პირველისა. ამ ძეგლის




1. საკურთხევლის აფსიდა; 2. მცირე სამყოფელი; 3. ნიში (ექსედრა); 4. გრომპი (გუმბათის ყელის ოთხკუთხედიდან წრეზე გადამყვანი სისტემა).

მხატვრული ანალიზი ნათელჰყოფს, რომ იგი ხსენებული თემის ახლებური, თავისთავადი და დამოუკიდებელი გადაწყვეტის ბრწყინვალე ნიმუშია. ძეგლის მხატვრული სტილისტური ანალიზით მტკიცდება, რომ იგი VII საუკუნის დასაწყისში ყოფილა აშენებული, ხოლო შემდგომ, X საუკუნეში შეუცვლია მას თავისი პირვანდელი სახე. ამ დროს ამოუყვანიათ ტაძრის გუმბათის ყელი და გარე კედლები, მიუშენებიათ დასავლეთის მხარეზე ახალი კვადერი, რის შედეგადაც ამოუქოლავთ ამ ფასადის სარკმელი და დეკორატიული სამკაულის ნაწილი. დაახლოებით იმავე პერიოდში „იქვე მახლობლად აუშენებიათ მცირე, ორსართულიანი კოპწია ეკლესიაც. გარდა ამისა, ტაძრისადმი განსაკუთრებულ მზრუნველობაზე მეტყველებს კათედრალის ინტერიერში ფრაგმენტულად დაცული კედლის მხატვრობაც, რომელსაც სხვადასხვა პერიოდის მხატვრული ფენები შემოუნახავს, მათი ქრონოლოგიური ჩარჩო XIV-XVII საუკუნეებით იფარგლება.

მარტვილის ტაძარი თავისი მნიშვნელობით თითქმის ისეთივე როლს ასრულებდა დასავლეთ საქართველოსათვის, როგორსაც აღმოსავლეთისათვის მცხეთის კათედრალი, ხოლო დავითის ხანაში, მარტვილში ვაზირთა უპირველესისა და მწიგნობართუხუცესის გიორგის, ჭყონდიდის ჟამს, ეს ტაძარი პირველობდა კიდეც.

ირაკლი ჯანდიერი.



ერთგული ნიფ-ნიფი და ნაფ-ნაფი

როცა ქალბატონ კეროლ ბეკს ორი მშვენიერი გოჭი აჩუქეს, მან, პოპულარული ინგლისური ზღაპრის „სამი გოჭის“ პატივსაცემად, მათ ნიფ-ნიფი და ნაფ-ნაფი დაარქვა. გოჭებმაც ღირსეულად გაამართლეს თავიანთი სახელები: კეროლ ბეკი თავისი ფერმიდან ლონდონში რომ გადავიდა საცხოვრებლად, ნიფ-ნიფი და ნაფ-ნაფი უშიშრად დაადგნენ მის კვალს. აბა, სოფელში მარტო ხომ არ დარჩებოდნენ! ვისაც ხსენებული ზღაპარი წაუკითხავს, მან იცის, რუხ მგელთან შეყრის შემდეგ როგორ მივიდნენე გოჭები იმ დასკვნამდე, რომ ყველაზე უხიფათოა ადამიანის გვერდით, ქვის სახლებში ცხოვრება.



ადვილი წარმოსადგენია, რარიგ განცვიფრდებოდა ქალბატონი კეროლი, როცა ერთ დილით თავისი სახლის კარებთან მამაც ნიფ-ნიფსა და ნაფ-ნაფს დაინახავდა...

ბაბილონური რუკა

ჩვენამდე მოაღწია დედამიწის ერთ-ერთმა პირველმა გამოსახულებამ — ბაბილონელთა მიერ შედგენილმა მსოფლიოს რუკამ. იგი შედგენილია ძველი გეოგრაფების მიერ თიხის ფილაზე. გასულ ათასწლეულთა განმავლობაში ამ რუკის ნაწილი დაიმსხვრა, მაგრამ მეცნიერებმა მაინც მოახერხეს მისი აღდგენა.

რუკას შვიდქიმიანი ვარსკვლავის სახე აქვს (შვიდი — ბაბილონელთა ერთ-ერთი წმინდა რიცხვი იყო). წრის ცენტრში — დედამიწაა. მას რგოლივით გარს აკრავს „მწარე წყლიანი მდინარე“ — მსოფლიო ოკეანე. ვარსკვლავის შვიდი ქიმი ოკეანეში მიმოფანტული შვიდი კუნძულია.

ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე დედამიწას სერავს შუაწელში ოდნავ შედრეკილი ფართო ზოლი. ეს მდინარე ევფრატია — ბაბილონელთა ფიქრით, ყველაზე დიდი მდინარე. დედამიწის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ასურეთი მდებარეობს, მისგან ჩრდილოეთით — სომხეთი, ხოლო მსოფლიოს კიდეზე — კავკასიის მთიანი მხარე. რუკის მიხედვით, სწორედ აქ იღებს სათავეს ევფრატი, ხო-




## ე. პერმიაკი

# ჩვენი ცხოვრების ანბანი

ევგენი პერმიაკის სახელი კარგა ხანია ცნობილია ქართველი ყმაწვილებისათვის. ახლახან „ნაკადულმა“ მისი კიდევ ერთი, ფრიად საინტერესო წიგნი უძღვნა მკითხველებს.

ალბათ არა ერთხელ გიფიქრიათ, რა არის ცხოვრებაში ყველაზე მთავარი? რა სჭირდება ადამიანს, რომ ბედნიერად იცხოვროს და აშენოს მომავალი? ზოგი იტყვის: მთავარი საკვებიაო. გეთანხმებით, კვება — ადამიანის უპირველესი მოთხოვნილებაა. რა იგულისხმება ამ სიტყვაში? თითქოს მარტივია პასუხი — ყველაფერი ის, რასაც ვჭამთ. მაგრამ აბა წარმოიდგინეთ როგორ მოიპოვება, როგორ აღწევს ჩვენამდე ეს პროდუქტები? ადამიანს სჭირდება სახლი, ტანსაცმელი... სახლს აშენება უნდა, გათბობა, განათება... ტანსაცმელს — მასალის შექმნა, მოქსოვა, შეკერვა... რა აკეთებს ყოველივე ამას? მანქანები. ახლა მანქანები როგორღა იქმნება? ამის გარდა, დღეს შექმნილი ადამიანს სახვალიოდ არ ყოფნის, საჭიროა მეტის შექმნა, სულ უფრო მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. რა კეთდება და რა უნდა გაკეთდეს ამისათვის?




ხედავთ რამდენი საინტერესო კითხვაა! წაიკითხეთ „ჩვენი ცხოვრების ანბანი“ და ყველა ამ საკითხზე და კიდევ ათას სხვა თავსატეხ კითხვაზე მიიღებთ პასუხს.

## ლ. ლიპინი, ა. ბელოვი

# თიხის წიგნები

ლევ ლიპინისა და აბრამ ბელოვის წიგნი ძირითადად აშუქებს ძველი შუამდინარეთის ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პერიოდს, რომელიც დაკავშირებულია ასურეთის მეფის ასურ-ბანიფალის (ძვ. წ. 669-633 წწ.) სახელთან.

მას საფუძვლად დაედო ამავე მეფის „თიხის წიგნების“ ბიბლიოთეკის — მსოფლიოში უძველესი წიგნსაცავის — აღმოჩენის საინტერესო ისტორია.

მკითხველი გაეცნობა ძველი აღმოსავლეთის ხალხების ბაბილონელების, შუმერების, აქადელების, ელამელების, ასურელე-




ბისა და სხვათა ყოფა-ცხოვრებას და ზნე-ჩვეულებებს, მეცნიერებასა და ხელოვნებას, ენასა და დამწერლობას, კანონებსა და სარწმუნოებას.

ავტორების მიერ მოყვანილი მითები, მატიანეები, სამართლის წიგნები თუ იურიდიული ტექსტები ნამდვილი დოკუმენტებია.

---

ლო ევფრატზე გაშენებულია „მსოფლიოს ცენტრი“ — ქალაქი ბაბილონი.

### რა ღირს ცხვირი?

ათი ათასი დოლარი! — ასე შეაფასა საკუთარი ცხვირი




ამერიკელმა ჯორჯ ტომპსონმა. სწორედ ამ ფასად დააზღვია მან თავისი ყნოსვის ორგანო ევროპაში გამგზავრების წინ, სადაც შვებულება უნდა გაეტარებინა. „ვშიშობ, ევროპულმა სუნმა არაფერიავნოს მას“, — შეფიქრიანებული ამბობდა მისტერ ტომპსონი. საქმე ის არის, რომ იგი მთავარ მეჭაშნიკედ მუშაობს ალკოჰოლიანი სასმელის — ვისკის დამამზადებელ ფირმაში.

### როცა სხვები ილხენენ...

დღესასწაულებზე ადამიანები ისვენებენ, დღიურ საზრუნავს ივიწყებენ, ახალი ენერგიით ივსებიან. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით წყნარი ოკეანის კუნძულ აიტუტაკის მკვიდრზე — ჩვეულებრივ სოფლელ ჯადოქარ მუი მაიტუტიუტეაზე. იგი ზეიმის დღეებშიც ქანცის გამოცლამდე შრომობს. მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ სხვა კუნძულელები ნადიმობენ და ილხენენ, ჯადოქარმა რიტუალური ცეკვები უნდა შეასრულოს, რათა ავი სულები განდევნოს. ყველაზე ხანმოკლე ლხინის დროსაც კი მაიტუტიუტეას ერთი დღე-ღამე მაინც უწევს ცეკვა.

სამაგიეროდ, ზეიმიდან ერთი კვირის შემდეგ თითოეული კუნძულელის მიერ დაჭერილი თევზის მეშვიდედი ნაწილი ჯადოქრის კუთვნილება გახლავთ.

### წერა-კითხვა რომ სცოდნოდა...

ბრაზილიის ქალაქ სან-პაულოს გამგეობის არჩევნებზე ერთ-ერთი რაიონის მცხოვრებლებმა საარჩევნო ბიულეტენში ჩაწერეს ზოოპარკის რჩეული მკვიდრის — ბეჰემოთ რიკოს კანდიდატურა. „დარწმუნებული ვართ, — განაცხადეს ამ ამომრჩევლებმა, — რომ რიკო გაცილებით უკეთესი მოღვაწე იქნება, ვიდრე ქალაქის გამგეობის ბევრი წევრი“. საარჩევნო კომისიამ არ დაამტკიცა რიკოს კანდიდატურა იმ საბაბით, რომ იგი წერა-კითხვის უცოდინარია...



# როგორ უნდა აკინძო ჟურნალები




ცალ-ცალკე გაფანტული ჟურნალები დროთა განმავლობაში იცრიცება, იხევა, უფრო მეტიც — იკარგება. ამიტომ ურიგო არ იქნებოდა, თუ შენს საყვარელ ჟურნალებს 3, 6 ან 12 ცალად აკინძავ. (ნახ. 1).

უპირველეს ყოვლისა, უნდა მოამზადო სადურგლო წებო, მაკრატელი, მჭრელი დანა, გაზეთი, კოლენკორის მოზრდილი ნაჭერი, თეთრი, სქელი ქაღალდის რამდენიმე ფურცელი, ფორზაცისათვის მუყაო და გარეკანისათვის რაიმე ფერადი ქაღალდი.

გაშალე ჟურნალი, გადაუღუნე და გამოაძრე ლითონის სამაგრები, შემოხსენი გარეკანი.

დახეული ფურცლები დააწებე (ნახ. 2).

აკინძვის წინ ჟურნალები წნეხით კარგად გაასწორე და გააშრე (ნახ. 3).

ფორზაცის მომზადება იოლი საქმეა — ორად გაკეცილ თეთრ ქაღალდს ყუა გადაუკეცე, შემდეგ ფორზაცს სამი მხრიდან კიდეები ისე შემოაჭერი, რომ ზუსტად ჟურნალისოდენა გამოვიდეს (ნახ. 4).

ჟურნალის შეკვრა კოლენკორის ნაჭრებით სჯობს (სიგრძე 10 სმ, სიგანე 1,5 სმ). კოლენკორი ისე შემოახვიე ასაკინძ ჟურნალს, რომ იგი ყუას გადასწვდეს (ნახ. 5).

ახლა კარგად შეასწორე, იპოვნე ნახვრეტი და ისე შეკერე, რომ მარცხენა ხელი გაშლილ ჟურნალში გექნეს, მარჯვენა კი — გარედან (ნახ. 6).

კოლენკორის ნაჭერი ძაფს შიგნიდან უნდა დაატანო (ნახ. 7).

პირველი და უკანასკნელი, ანუ ზედა და ქვედა ჟურნალის ფორზაცი დადე და ყუა შიგ მოატანე (ნახ. 8).

ამასთან, არ დაგავიწყდეს: ყოველი ჟურნალის შეკვრის შემდეგ ძაფი უნდა გამონასკვო (ნახ. 9).

კოლენკორის ნაჭრის ბოლოები წებოთი დააწებე (ნახ. 10).

ყველა ჟურნალს რომ ასე შეკრავ, მომავალი კომპლექტის ყუას წებო გაუსვი, აცალე კარგად გაშრობა, შემდეგ ჩაქუჩის დარტყმით ყუა მოუმრგვალე (ნახ. 11).

ამგვარად შეკრულ ჟურნალებს თავსა და ბოლოში ნაჭრის ზოლი გადააკარი. (ნახ. 12).

ახლა, კომპლექტისასათვის ყდის შემოკვრის ჯერიც დადგა. აიღე მუყაოს ორი ფურცელი. (მუყაო ჟურნალის ყდაზე 0,5—0,7 სმ-ით სქელი უნდა იყოს). იმისათვის, რომ ხმარებისას კუთხეები არ გაუცვდეს, კიდეებზე კოლენკორის ნაჭრები დააწებე (ნახ. 13).

ყუაც კოლენკორის ნაჭრისგანვე გამოსჭერი, სიგრძე იმდენი უნდა ჰქონდეს, რომ ჟურნალს გადასწვდეს და კუთხეები ჩაეკეცოს (ნახ. 14).

გარეკანს გარედან ფერადი ქაღალდი გადააკარი, ამასთან, ქაღალდს კუთხეები უნდა ჩამოაჭრა, ხოლო დარჩენილი კიდეები შიგ უნდა ჩაუკეცო (ნახ. 15).

ახლა ისღა დაგრჩენია, რომ აკინძული ჟურნალი გამზადებულ გარეკანში მოათავსო (ნახ. 16). გარეკანს ჯერ ერთი ფორზაცი მიაწებე, მერე — მეორე და კომპლექტი წნეხში მოათავსე, ან რაიმე სიმძიმე დაადე ზედ.

ერთი-ორი დღეღამის შემდეგ შეგიძლია წნეხი გვერდზე გადადო და ჟურნალის მზა კომპლექტი წიგნების თაროზე მოათავსო (ნახ. 17).













# 1970 წლის პიონერში დაბეჭდილ მასალათა საძიებელი


## მოთხრობები, ზღაპრები, ლეგენდები

ლ. გვაზავა—სანაძე — ჩრდილოეთის ციალი. № 1, 2.
ი. იაკოვლევი — შინდის ჯოხები. № 1.
თ. პატურაშვილი—უმადური; არაკები. № 1, 7.
რ. ინანიშვილი — თეთრი ყანჩა. № 1.
ვ. ბონჩ—ბრუევიჩი — ლენინი კრემლში № 1.
ა. ვლასოვი, ი. მოლოდიკი — ახალი სახლი. № 2.
როცა მეჭობრები ჩხუბობენ. (ჩრდილო ამერიკის ინდიელთა ზღაპარი). № 2.
კ. ტაბატაძე — უკვდავება № 3, 6, 7.
კ. პაუსტოვსკი — მაშა. № 3.
გ. ტოგონიძე — ლეგენდა ყვავილზე. № 3.
გ. სანადირაძე — ოქროსფრად დაფერილი მთები. № 4.
მ. თომაძე — გამარჯობა, პატარა პროფესიონალო; ბიჭი წითელ მოედანზე. № 4.
მ. კაკაბაძე — თეთრი ულელტეხილი. № 5.
რ. ჯაფარიძე — ვნების კვირა. № 5.
ვ. კავერინი — ტიციანი. № 5.
ი. იოსელიანი — მაინც გამარჯვება. № 5.
ი. კოროლკოვი — რიხარდ ვირტცის აღსასრული. № 8.
გ. ნაჯაფოვი. ვალერი კოტიკი პარტიზანი ხდება. № 5.
გ. შატბერაშვილი — უკვდავება. № 6.
ხ. ჰასილოვა — ზღვის ვარსკვლავები. № 7.
ჰ. ქ. ანდერსენი — გვირილა. № 7.
რ. ელანიძე — ბუერით მოტანილი წყალი. № 7.
გ. ჯინჯოლია — ტივი. № 7.
ნ. შამანაძე — ბიჭები კიბეზე ადიოდნენ. № 8, 9, 10.
ი. იაკოვლევი — მოციმციმე ნათურა. № 8.
ცალთვალა უბედურება (რუსული ხალხური ზღაპარი). № 8.
ოქროს კუნძული (ჩინური ზღაპარი). № 9.
ი. კინწურაშვილი — რკინის ბიჭი. № 9.
გ. პეტრიაშვილი — ამბავი თეთრსულელასი № 10.
რ. ბაქსტერი — ფორმის ტანსაცმელი. № 10.
თ. ფიფია — ბიჭები. № 11.
ჰ. ჰარიანი — ლეგენდა მშობლიურ მიწისა. № 11.
ვ. ხეჩუმიანი — საიდუმლო კარი. № 11.
შ. წვიჯბა — მფრინავი რაშების ველი — № 12.
გ. ხარაიძე — პროფესორ მესხის საიდუმლოება. № 12.

## ლექსები, პოემები, ბალადები

ს. შამფრიანი — სულ მშვიდობით გევლოს; მან დამანახა სამყარო ვრცელი; საშემოდგომო ჩანახატები. № 1, 4, 10.
მ. ჯგუბურია — სიმღერა; სამი ლექსი. № 1, 7.
მ. არუთინიანი — როგორ აუხდა სიზმარი ქერათმიან ბიჭს. № 1.
მ. ჩხეტიანი — მეც ფრთებს გავშლი, კორობლის მთაო. № 1, 8.
ი. ფლიევი — ცამეტი კომისრის ძეგლი. № 1.
ლ. ჯაფარიშვილი — წვიმა. № 1.
ზ. ბანოვი — ბიჭი და შადრევანი; ჩიტი. № 1.
ს. კარასლავოვი — ბალადა თავმდაბლობაზე. № 1.
მ. აბრამიშვილი — საქართველო. № 2.
მ. ლებანიძე — რამდენი ჭაფა დასჭირდა... № 2.
დ. ივარდავა — გაზაფხულის მოსვლა, ყანჩა; ჩემი პური; მდინარე; ყველაზე სპეტაკს, ყველაზე მართალს. № 3. № 4.
ა. აბულაშვილი — გაზაფხული. № 3.
რ. ბარკალაია — სოფლისაკენ. № 3.
ნ. კერესელიძე — წვიმა. № 3.
გ. ტაბიძე — ოქტომბრის სიმფონია. №4.
ს. შანშიაშვილი — დედისერთა ლენინთან. № 4.
შ. როყვა — ვარდები. № 5.
ე. ჯაფარლი — ბილიკები. № 7.
ნ. ხაზრი — სამშობლო. № 7.
გ. კაჭახიძე — საქართველო გიყვარდეს. № 7.
ე. კვიტაიშვილი — იმრავლე და იჯანმრთელე. № 7.
ნ. კილასონია — ვინ არის ჩემი მეგობარი. № 8.
გ. გიგაური — სინდაურისძის მაღალი. № 8.
ს. მარშაკი — ერთი მოწაფისა და ექვსი ერთიანის ამბავი. № 9.
ფრანგული ხალხური პოეზია. № 10.
მ. მარშანიძე — იყო და არა იყო რა. № 11.
მ. ჯაყელი — ჩვენ ვაგებთ პასუხს. № 11.
ნ. მალაზონია — სიცოცხლე მინდა. № 11.
ი. მელია — დიდი სიცოცხლე. № 11.
ფ. ხალვაში — ბათუმის წვიმა. № 11.
ბ. შინკუბა — სიზმარი. № 12.
ი. თარბა — ეს ცა. № 12.
მ. ლასურია — არ დაგავიწყდე, ბიჭო. № 12.
კ. ლომია — *** (ჩვენ ყველას გვძინავს დიდი ხანია). № 12.
შ. სანგულია — სიმღერა მშობლიურ მხარეზე. № 12.
ტ. ჭანია — ჩანგი ძველი, აფხაზური, № 12.

## პიონერული ცხოვრება

მ. ხერგიანი — ოცდამეოთხე ზაფხული. № 1.
ძ. ჭილაშვილი — ლენინური ორწლედის გზებზე. № 10.
ძეგლის ნორჩი მეგობარი. № 10.
ნ. მგელაძე — ყოველი დღე და ყოველი წუთი. № 4.
იზარდე... № 6. ანგარიშის ნომერია 70009. № 11.
ს. გეჩოელი — გამარჯვებას ზეიმობენ გამარჯვებაში. № 5.
ბარაქალა მათ. № 12.

ს. შამფრიანი — ჭოპორტელები. № 7.
ზ. ლეშკაშელი — „ცისკრის“ ქალაქში. № 8.

ა. ჩიგოგიძე — ბანაკი ზღვის პირას. № 8.
გ. მზარელუა — წლებით დათოვლილი, მრავალჭირნახული... № 9.

## წერილები, მოგონებები, მეცნიერება, ხელოვნება, სპორტი, სხვადასხვა

ს. კინწურაშვილი — ქართული არქიტექტურა. № 1, 2, 3.

ი. ჯანდიერი — უფლისციხე. № 1; მარტვილის ტაძარი. № 12.

თ. გიორგაძე — პაექრობა გადასახლებაში; ლამაზი ეტიუდია! მაქსიმ გორკის თაოსნობით, როგორ თამაშობდა ლენინი ჭადრაკს. № 1, 3, 4.

ე. სირმუსი — ჩემი შეხვედრა ლენინთან. № 2.

ი. გვოზდევი — მწვანე ჯოჯოხეთის ბინადარნი. № 2.

ი. უზნაძე — ამღერებული ლითონი. № 2.

მ. ციმერინგი — ლენინი დრეზდენში. № 8.

ბ. კამენსკი — ზამთრის ყინვა ვერ აშინებს. № 8.

რ. ელანიძე — სიმბიოზი. № 8.

ნ კრუპსკაია — კაციც ასეთი უნდა. № 4.

მ. გორკი — „ეს ჩვენია!“. № 4.

მარიჯანის დაბადების 80 წლისთავი. № 6.

გ. ლეონიძის დაბადების 70 წლისთავი. № 6.

გ. შატბერაშვილის დაბადების 60 წლისთავი № 6.

ჯ. ნადირაძე — მოდინახე. № 7.

თამაშები წყალში № 7.

ა. კერბელაშვილი — ელექტრომობილი; ვინ და როგორ გამოიგონა საბურავი. № 8, 11.

ს. ცინცაძე — დავიცვათ „ცოცხალი ვერცხლი“. № 8.

ზ. ჯანდიერი — სახელოვან სპორტსმენთა მემკვიდრენი. № 9.

ვ. სიდამონიძე — „ტურა ქაიხოსრო“. № 9.

გ. ხაითიძე — მზე წითლად ამოდიოდა. № 10.

ჩვენი ცის ახალი ხომალდები. № 10.

ქ. დავითაშვილი — ქართული ნაქარგობანი. № 10.

გ. ფრაიბერგი — სპილოების სამარხი. № 10.

დ. დიასამიძე — საბჭოთა აჭარა. № 11.

მ. მშვიდობაძე, გ. ზარაშიძე — სადღეგრძელო უკვდავებისა. № 11.

ზეიმობს სომხეთი № 11.

ზ. ლეშკაშელი — საბჭოთა აფხაზეთი. № 12.

მ. გვასალია — ღამე მეთევზეებთან. № 12.

ჯ. ჯანელიძე — პლანტაციიდან პარლამენტამდე. № 12.

მ. შეწირული — რავდა — მეგობრობის ბანაკი. № 12.

## განყოფილებები

ახალი წიგნები — №№ 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10.
გამოგადგება — №№ 1—10.
ცხრაკლიტული — №№ 1—12.
ჯადოსნური სარკე — №№ 1—10.
საინტერესო თემაზე — № 1, 6, 11.
თამაშობები — № 1, 2, 3, 5.
უცხოური იუმორი — № 8, 8.
ბუნების კარი — № 8, 9.



შეცდომის გასწორება: „პიონერის“ № 9-ში, მეთხუთმეტე გვერდზე მოთავსებული ნახატის — „მწყემსები“ ავტორი არის ამირან კობახიძე

გარეკანის 1-ლ გვერდზე ნახატი ზურაბ მექმარიაშვილისა.


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.
სარედაქციო კოლეგია: შოთა გაბელაია, წოდარ გურაბანიძე, შოთა დევდარიანი, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი:
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები:
რედაქტორის—93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის
93-97-03 93-53-05
განყოფილებების—93-97-02
93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 16/X-70 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/XI-70 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. პირობითი 4. შეკვ. № 3090. ტირ. 123.800. უე 02229.

ფასი 20 კაპიკი



რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

## კროსვორდი



ჰორიზონტალურად: 1. ბოსტნეული; 3. ინგლისურ-ამერიკული სიგრძის საზომი; 5. ხაზვისთვის საჭირო ხელსაწყო; 6. ნელი ქარი, ანუ? 7. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი; 10. ქალაქგარეთ ჯგუფურად გასეირნება, ანუ? 11. ბუნების ხედი, ანუ? 14. მუხის ნაყოფი; 17. მოხეტიალე კომეტა; 19. ციება, ანუ? 21. ელექტრობის წინააღმდეგობის საზომი ერთეული;

ვერტიკალურად: 1. გერმანელი ფილოსოფოსი და მეცნიერი; 2. ძველი საბრძოლო იარაღი; 4. გეომეტრიული სხეული; 6. თქმულება, ლეგენდა, ანუ? 8. ძვირფასი ლითონი; 9. ქალაქი ჩრდილო კავკასიაში; 11. პიროვნება, ანუ? 12. ამერიკული მტაცებელი ცხოველი; 14. ავტომობილებით შეჯიბრება ქალაქის პირობებში, ანუ? 15. მდინარე ევროპაში; 16. სახელმწიფო ევროპაში; 18. სახელმწიფო აფრიკაში; 20. ქართული გაზეთი; 22. მდინარე სსრ კ-ში; 23. მედიცინაში გამოყენებული სამკურნალო მცენარე; 25. სამი შემსრულებლისაგან შემდგარი ჯგუფი.

ნინო ვაშაკიძე,

ქ. გორის მე-3 საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე.

## შარადა

ის მდინარე ურალის
მთიდან მოედინება
და ბარენცის ზღვას
ერთვის,
ალბათ გეცოდინება.
ჰოდა, გაარკვიე
სიტყვის წინა მარცვალი,
მერე ჩამოაცალე
დანარჩენი რაც არი.
ბგერა მუსიკალური
შესავსებად გჭირდება, —
დაუპირებ დაჭერას,
უცებ აგიფრინდება,
ჩნდება დილის მზეზე და
კვდება, როცა ბინდდება.

შოთა ამირანაშვილი.



## ავარჯიშე შენი ყურადღება



გაადევნე თვალი (არ იხმარო არც ფანქარი და არც ასანთის ღერი), სად თავდება თითოეული ხაზი და იქვე დასვი მისი ნომერი. ოღონდ, სხვასაც რომ მიეცეს ვარჯიშის საშუალება, ნომრები ან ფანქრით დაწერე და შემდეგ წაშალე, ანდა, გვერდით სუფთა ქაღალდი მიუდე და ზედ დაწერე.

## პასუხი № 11-ში მოთავსებულ კროსვორდზე

ჰორიზონტალურად: 1. სეგოზერო; 2. ბელუხა; 3. ხასაია; 4. იავა; 5. ნიასა; 6. ლალი; 7. კურილია; 8. კატა; 9. დონი; 10. სენა; 11. კოდორი; 12. ბომბეი; 13. საფრანგეთი.

ვერტიკალურად: 14. როიალი; 15. ტემზა; 16. უხანი; 17. ვარდი; 18. რიონი; 19. იტალია; 20. თერგი; 21 ატლასი; 22. ჩოგორი; 23. კოზარა; 24. ირანი. 25. კოქსი; 26. ენძელა.

ნ.170/240

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ფოტო თ. არჩვაძისა.

## იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს?

გავშვებო! დახედეთ ამ ფოტოსურათს და მოგვწერეთ, რომელი არქიტექტურული ძეგლია მასზე გამოხატული, სად მდებარეობს იგი და რა მოვლენებთან არის მისი ისტორია დაკავშირებული.